კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქეთევან ხვედელიძე

გლობალიზაცია და ტრანსნაციონალური კომპანიების მენეჯმენტის თავისებურებანი

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის

მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თამარ დუდაური, ეკონომიკის

დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2018

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის თემას წარმოადგენს ტრანსნაციონალური კომპანიების მენეჯმენტის თავისებურებანი გლობალიზაციის პირობებში. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესის მთავარ ელემენტს წარმოადგენენ ტრანსნაციონალური კორპორაციები. სწორედ ისინი გლობალური სტრატეგიების რეალიზაციის საშუალებით, თამაშობენ წამყვან როლს მსოფლიომეურნეობრივი კაშირების განვითარებაში, რომლებიც აერთიანებენ რეგიონალურ და მსოფლიო ბაზრებს.

ტრანსნაციონალური კომპანიების წილი, ქართულ ბაზარზე და ეკონომიკაში საკმაოდ მოცულობითია, აღნიშნულ კომპანიების კარგად ორგანიზებული და მოქნილი მენეჯმენტი გააჩნიათ, რაც უწყობს ხელს მათ ეფექტურ მართვას. ქართული სუსტი ეკონომიკის პირობებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიების შემოსვლა, ეკონომიკური პარამეტრების გაზრდის მიზნით.

ნაშრომში დაწვრილებით არის განხილული გლობალიზაციისა და ტრანსნაციონალური კომპანიების არსი. საერთაშორისო ბიზნესის თავისებურებანი. აღწერილია ტრანსნაციონალური კომპანიების სტრუქტურა და ტიპები, განვითარების ფაზები. ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტირების პრინციპები და მნიშვნელობა ტრანსნაციონალურ კომპანიებში განხილულია ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული კომპანიის Toyota Motor Corporation-ის მაგალითზე.

ნაშრომის ძირითად ნაწილში განხილულია ტრანსნაციონალური კომპანიების როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაში და მათი ზეგავლენა გარდამავალ ეკონომიკებზე. რესპოდენტთა გამოკითხვის ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა თუ რა როლს თამაშობს ტრანსნაციონალური კომპანიები საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. ნაშრომის ბოლოს გაკეთებულია დასკვნები.

Annotation

Ketevan Khvedelidze

Globalization and Peculiarities of Management of Transnational Companies

The topic of this Master thesis is the peculiarities of management of transnational companies in the conditions of globalization. Transnational corporations are the main elements of the globalization process of global economy. They are using the global strategies to play a leading role in the development of world economy, that unites regional and world markets.

The share of transnational companies is quite voluminous in the Georgian market and economy, with well-organized and flexible management of these companies that facilitate their effective work. In terms of Georgian weak economy, it is vital to enter large transnational companies to increase economic parameters.

The work of this master thesis is detailed in the essence of globalization and transnational companies. International Business Peculiarities, Structure and Types of Transnational Companies, Development Phases Principles and importance of designing the organizational structure. The transnational companies consider the example of Toyota Motor Corporation, one of the most rated companies.

In the main part of the work is described the role of transnational companies in the globalization of the world economy and their impact on transition economies. Based on the analysis of respondents' polls, the conclusion is about the role of transnational companies in the development of Georgian economy. At the end of the work sum ups are made.

შინაარსი

შესავალი 5

თავი 1. გლობალიზაცია და მენეჯმენტის თავისებურებანი საერთაშორისო ბიზნეს ორგანიზაციებში 10

1.1. გლობალიზაციის არსი და ისტორიული მიმოხილვა 10

1.2. ტრანსნაციონალური კომპანიები და გლობალიზაცია 13

1.3. საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტის თავისებურებანი 17

1.4. საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტის ინსტრუმენტები და ორგანიზაციული სტრუქტურა 23

თავი 2. ტანსნაციონალური კომპანიების მენეჯმენტი 26

2.1. ტრანსნაციონალური კორპორაციების ტიბები, წარმოშობის მიზეზები და დახასიათება..... 26

2.2. ტრანსნაციონალური კომპანიების სტრუქტურა და ტიპები 30

2.3. ტრანსნაციონალური კომპანიების განვითარების ფაზები 33

2.4. ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტირების პრინციპები და მნიშვნელობა ტრანსნაციონალურ კომპანიებში 35

თავი 3. ტრანსნაციონალური კომპანიები, როგორც მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის ფაქტორი და მისი როლი საქართველოს ეკონომიკაშ..... 43

3.1. ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაში 43

3.2. კვლევა: ტრანსნაციონალური კომპანიების როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში 49
3.3. ტრანსნაციონალური კომპანიების ზეგავლენა გარდამავალ ეკონომიკებზე და საქართველოს პერსპექტივები 55
დასკვნა.....
Error! Bookmark not defined.1
გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა **65**
დანართი **68**

შესავალი

თემის აქტუალობა. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს მზარდი გლობალიზაციური პროცესები, რომლებიც ვლინდებიან მსოფლიო მასშტაბით, სულ უფრო ინტენსიფიცირებულ და გაღრმავებულ, სახელმწიფოებს შორის ურთიერთგავლენისა და ურთიერთდამოკიდებულების პროცესებში. ამ პროცესების მამოძრავებელ ძალად გვევლინება ტრანსნაციონალური კორპორაციები (ტნკ).

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესის მთავარ ელემენტს წარმოადგენენ ტრანსნაციონალური კორპორაციები. სწორედ ისინი გლობალური სტრატეგიების რეალიზაციის საშუალებით, თამაშობენ წამყვან როლს მსოფლიომეურნეობრივი კაშირების განვითარებაში, რომლებიც აერთიანებენ რეგიონალურ და მსოფლიო ბაზრებს. ამასთან მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია, პოლიტიკური, ტექნოლოგიური და დემოგრაფიული ტრანსფორმაცია ახდენს საერთაშორისო კომპანიების საქმიანობის გარე პირობების ფორმირებას, რომლებიც ობიექტურად მოქმედებენ გარე გარემოსთან ურთიერთქმედების ყველა დონესა და სფეროზე.

გლობალიზაციის განვითარებამ გამოიწვია კონკურენციის ხასიათის შეცვლა და გამკაცრება. უმსხვილესი მსოფლიო კომპანიების კონკურენტუნარიანობის ახალი შინაარსი დაკავშირებულია ოპერაციების გლობალურ ხასიათთან, საინფორმაციო ტექნოლოგიების ფართო გამოყენებასთან, ტნკ-ებსა და

განვითარებადი ეკონომიკების ქვეყნებს შორის კონკურენციის გამკაცრებასთან, კომპანიათა შორის კოოპერაციის განვითარებასთან, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ხასიათისა და საშუალებების ცვლილებასთან.

საკვლევი თემის აქტუალობა განისაზღვრება მსოფლიო ბაზრებზე ტრანსნაციონალური კომპანიების ბრძოლით ბაზრების შესანარჩუნებლად და ახლების დასაკავებლად, ასევე იმით, რომ მსხვილო კორპორაციების კონკურენტუნარიანობა პირდაპირ კავშირშია ისეთ საკითხებთან, როგორებიცაა საერთო ნაციონალური სტრატეგიისა და თანამედროვე პირობებში განვითარების პრიორიტეტების არჩევა.

წამყვანი ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის გლობალიზაცია წარმოადგენს გარე გარემოს მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს მსხვილი კორპორაციების კონკურენციის მდგომარეობასა და ტენდენციებს, ცვლილებებს ძალთა გადანაწილებაში და რთულ პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობენ მსოფლიო ეკონომიკაში მიკროდონეზე, მსხვილი საერთაშორისო კომპანიების კონკურენტუნარიანობის ფაქტორებისა და ინსტრუმენტების ფორმირებას, თანამედროვე კონკურენციის ხასიათისა და ბუნების ცვლილებას, ტრანსნაციონალური კორპორაციების და სწრაფად ცვალებადი გარე გარემოს ურთიერთქმედების საკითხებს, გლობალიზაციისა და ინფორმაციული რევოლუციის ზემოქმედების პირობებში.

ტრანსნაციონალური კორპორაციების მართვის საკითხებისა და მათ შორის კონკურენტუნარიანობის კვლევას, განსაკუთრებით ფორმირების სტადიაზე მყოფი გლობალური კორპორაციების შემთხვევაში, აქვს ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა. აღნიშნული საკითხი, რიგი მიზეზების გამო, წარმოადგენს კვლევის რთულ ობიექტს, ვინაიდან კორპორაციები არ არიან დაინტერესებულნი გასცენ თავიანთი წარმატების საიდუმლო, ასევე ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოადგენენ საკმაოდ რთულ მრავალდარგობრივ სტრუქტურას, რომლებიც ახდენენ ოპერირებას მსოფლიოს მასშტაბით ათობით და ასობით სხვადსხვა სასაქონლო და გეოგრაფიულ

ბაზრებზე. ამის გამო, დედა კომპანიასაა და შვილობილ კომპანიას, ასევე ფილიალებს შორის ურთიერთობების ანალიზი წარმოადგენს დიდ სირთულეს. და, ბოლოს ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა ხორციელდება ერთდროულად რამდენიმე რეგიონსა და ქვეყანაში, სადაც არსებობს სხვადასხვა გარე ფაქტორი, რომელთა გავლენის დონე ხშირად რთული განსასაზღვრია ინფორმაციის დაქსაქსულობის გამო.

თანამედროვე პირობებში ჩვენი ქვეყნისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სამეურნეო სუბიექტების კონკურენტუნარიანობის ზრდის უზრუნველყოფა. ამ მიმართებაში, მსოფლიოს მსხვილი, წამყვანი კორპორაციების გამოცდილების შესწავლასა და გამოყენებას ენიჭება დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. წამყვანი ტრანსნაციონალური კორპორაციების კონკურენტუნარიანობის მიღწევისა და მიდგომების შესწავლა წარმოადგენს აქტუალურს არა მხოლოდ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების თეორიის თვალსაზრისით, არამედ საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის პერსპექტივებისა და ქართული კომპანიების გლობალურ ბაზარზე მომავალი პოზიციების განსაზღვრისათვის.

მუშაობენ რა ქართულ ბაზარზე, ტრანსნაციონალური კორპორაციები განვითარების ტემპებით უმეტესწილად უსწრებენ ადგილობრივ კომპანიებს, იმის მიუხედავად, რომ მათ გააჩნიათ ადგილობრივ ბაზარის თავისებურებების შესახებ მნიშვნელოვანი ცოდნა და მასზე მუშაობის მეტი გამოცდილება.

პასუხი კითხვაზე იმის შესახებ, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების მართვის, რომელი თავისებურებები განსაზღვრავს მათ წარმატებებსა და წარუმატებლობებს, ასევე ბიზნეს-გარემოს, რომელი ფაქტორებია მნიშვნელოვანი ტრანსნაციონალური კომპანიების სტრატეგიის ცვლილებისათვის, მნიშვნელოვანია, როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია ასევე, ტრანსნაციონალური კორპორაციების რეგიონალური ასპექტების დადგენა, მისი მენეჯმენტის ინსტრუმენტების სპეციფიკის და

თავისებურებების შესწავლა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს არჩეული საკვლევი თემის აქტუალობა.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის ძირითად მიზანი მდგომარეობს ტრანსნაციონალური კორპორაციების მენეჯმენტის თავისებურებებისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის ძირითადი ფაქტორებისა და ტექნოლოგიების შესწავლა და ანალიზი, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში.

ამ მიზნის მისაღწევად, ნაშრომში ყურადღება გავამახვილეთ შემდეგ ამოცანებზე, რომლებმაც განსაზღვრეს კვლევის ლოგიკა და ნაშრომის სტრუქტურა:

- თანამედროვე არამდგრადი და დინამიურად ცვალებადი საერთაშორისო სამეწარმეო გარემოს თავისებურებების და მასში ტრანსნაციონალური კორპორაციების, როგორც მისი მთავარი სუბიექტის როლის განხილვა და ანალიზი;
- ტრანსნაციონალური კორპორაციების მენეჯმენტის ინსტრუმენტებისა და ორგანიზაციული სტრუქტურის ანალიზი;
- გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო ბიზნესში ჩართული კორპორაციების მენეჯმენტის თავისებურებების განხილვა;
- ტრანსნაციონალური კორპორაციების ორგანიზაციული სტრუქტურის ძირითადი პრინციპებისა და მნიშვნელობის განხილვა და ანალიზი;
- მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ტრანსნაციონალური კორპორაციების ადგილობრივ და რეგიონალურ ბაზრებზე წარმოშობილი პრობლემების ანალიზი და მათი დაძლევის გზების განხილვა;
- დინამიურ გარემო პირობებში ტრანსნაციონალური კორპორაციების კონკურენტუნარიანობის ამაღლების ძირითადი მიდგომების, ტექნოლოგიებისა და ინსტრუმენტების შესწავლა;
- შთანთქმისა და შერწყმის, ასევე კომპანიების შორის სტრატეგიული ალიანსების გავლენის შეფასება ტრანსნაციონალური კომპანიების

კონკურენტუნარიანობაზე, კორპორაციული მართვის სისტემაზე და მარკეტინგზე;

- გლობალიზაციის პირობებში ტრანსნაციონალურ კომპანიების მენეჯმენტის თავისებურებების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე პრაქტიკული დასკვნების ჩამოყალიბება და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანია უცხოური და საქართველოში არსებული ტრანსნაციონალური კომპანიების მენეჯმენტის წარმოების მეთოდები, ინსტრუმენტები და თავისებურებანი, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზები. ხილო ობიექტს წარმოადგენს უცხოური და საქართველოში არსებული ტრანსნაციონალური კომპანიები.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველი. ნაშრომის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს, ტრანსნაციონალური კომპანიების შესახებ, ქართველი და უცხოელი მეცნიერების ფუნდამენტური გამოკვლევები, სხვადასხვა მკვლევართა ანალიტიკური ნაშრომები, აღმასრულებელი ხელისუფლების საინფორმაციო-სტატისტიკური და ანალიტიკური მასალები. კვლევის პროცესის სწორად წარმართვისათვის ნაშრომში გამოყენებულია სისტემური ანალიზის, ეკონომიკური, ლოგიკური, ანალიზისა და სინთეზის, რაოდენობრივი (მასობრივი გამოკითხვის), ეკონომიკურ-სტატისტიკური და სხვა მეთოდები.

რით განსხვავდება მოცემული სამაგისტრო ნაშრომი წინა კვლევებისაგან. ჩემს მიერ განხორციელებულ კვლევაში, რომელიც ჩავატარე ტრანსნაციონალური კომპანიების მენეჯმენტის თავისებურებების განხილვის და კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის ახალი ბუნების ემპირიული ანალიზის საფუძველზე, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მიღწევების ფართო გამოყენების პირობებში, გაირკვა, რომ სამეურნეო ცხოვრების შემდგომი ინტერნაციონალიზაცია წარმოშობს კომპანიებს, რომლებიც იყენებენ კონკრეტულ უპირატესობებს, რომლებიც განპირობებულია გლობალიზაციით. განსაზღვრულია განსხვავება მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიების

კონკურენტუნარიანობის მაღალი დონის მიღწევისა და შენარჩუნების პროცესში ფაქტორებსა და ინსტრუმენტებს შორის.

თავი 1. გლობალიზაცია და მენეჯმენტის თავისებურებანი საერთაშორისო ბიზნეს ორგანიზაციებში

1.1 გლობალიზაციის არსი და ისტორიული მიმოხილვა

გლობალიზაცია წარმოადგენს ცალკეული ქვეყნების ეკონომიკების გადასვლას საერთაშორისო მასშტაბის ეკონომიკაზე. მაგრამ გლობალიზაცია ვლინდება არა მხოლოდ ეკონომიკური კუთხით, არამედ იგი იკავებს განსაკუთრებულ ადგილს მრავალი ქვეყნის მოქალაქეთა პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში და სამართლებრივ ურთიერთობებში. აქ განსაკუთრებული მგომარეობა, როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული, უკავია საზოგადოების ინფორმირებულობას. ინფორმაცია გახდა ერთ-ერთი ყველაზე ძვირი გაყიდვადი პროდუქტი. მასიური კომუნიკაციის საშუალებები, მათ შორის ინტერნეტის ქსელი, თანამგზავრული კავშირი, საშუალებას იძლევიან თავისდროულად და ეფექტიანად გადაწყვეტილ იქნეს წარმოშობილი პრობლემები, დაიდოს ხელშეკრულებები და ა.შ.

ამ მოვლენის ძირითად შედეგს წარმოადგენს მსოფლიო შრომის დანაწილება, მიგრაცია (და როგორც წესი კონცენტრაცია) მთელი მსოფლიოს მასშტაბით კაპიტალის, ადამიანური და საწარმოო რესურსების, და ასევე სხვადასხვა ქვეყნების კულტურების დაახლოება და შერწყმა. ეს ობიექტური პროცესია, რომელიც ატარებს სისტემურ ხასიათს ე.ი. მოიცავს საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს. გლობალიზაციის შედეგად მსოფლიო ხდება უფრო

დამოკიდებული ყველა მის შემადგენელ სუბიექტზე. მიმდინარეობს, როგორც სახელმწიფოთ ჯგუფებისათვის საერთო პრობლემების რიცხვის ზრდა, ასევე ინტეგრირებული სუბიექტების ტიპებისა და რიცხვის გაფართოება.

გლობალიზაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებული ქვეყნებისათვის ეგრეთ წოდებული გარდამავალი ეკონომიკებისათვის, კომპანიებისათვის რომლებსაც გახსნილი ბაზრის პირობებში სულ უფრო უჭირთ გამწვავებული საერთაშორისო კონკურენციის გაძლება.

საერთაშორისო ურთიერთობების გლობალიზაცია ეს არის კანონზომიერი პროცესი, რომელიც შეიცავს მსოფლიო საზოგადოების განვითარების ძირითადი მიმართულებებისა და შემადგენლების ურთიერთკავშირებისა და ურთიერთგავლენის გაძლიერებას. ფართო გაგებით - ეს არის მრავალ ფაქტორული ურთიერთქმედება საერთაშორისო ცხოვრების სხვადსხვა სახის მოვლენაზე (ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალური, პოლიტიკური, ეთნიკური, რელიგიური, ფსიქოლოგიური და სხვა სახის მოვლენებზე).

ისტორიკოსები ამ პროცესს განიხილავენ, როგორც კაპიტალიზმის განვითარების ერთ-ერთ ეტაპს. ეკონომისტები ათვლას იწყებენ ფინანსური ბაზრების ტრანსნაციონალიზაციიდან. პოლიტიკოსები ამ პროცესს აიგივებენ დემოკრატიული ინსტიტუტების გავრცელებასთან. კულტუროლოგები გლობალიზაციის გამოვლენას უკავშირებენ კულტურის ვესტერნიზაციას, ამერიკული ეკონომიკური ექსპანსიის ჩათვლით. არსებობს ინფორმაციულ-ტექნოლოგიური მიდგომები გლობალიზაციის პროცესის ახსნისათვის. ასხვავებენ პოლიტიკურსა და ეკონომიკურ გლობალიზაციას. გლობალიზაციის სუბიექტებად გამოდის რეგიონალიზაცია, რომელიც იძლევა მსოფლიო პოლუსების ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების მძლავრი კუმულაციური ფორმირების ეფექტს.

თანამედროვე ეტაპზე მიმდინარეობს ღრმა ცვლილებები საერთაშორისო ურთიერთობების მთელ სისტემაში. მის ახალ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს გლობალიზაცია. ეს განმარტება განისაზღვრება სხვადსხვა ნაირად:

გაბატონებული თვალსაზრისის თანახმად, არცერთი ქმედება (ეკონომიკური, სოციალური, იურიდიული, პოლიტიკური, სამხედრო და ა.შ.), არ ერთი პროცესი, ჩვენს ცხოვრებაში, როგორი მასშტაბურიც ან კერძოც არ უნდა იყოს, ვერ განვიხილავთ შეზღუდულად, როგორც ცალკე მდგომს (ნ. ჩადუნელი. 2013).

ცალკეული აქციების, მოვლენების და პროცესების ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება ძლიერდება, როცა საჭიროა უკუ ეფექტის აღრიცხვა და შეფასება, როგორც ყველა ახლო შედეგის, ასევე შორეულის, უშუალოდ ახლომდებარე და შორეულ სფეროებში. სერიოზულად გართულებულია წინაპირობების განმარტებაც: ესა თუ ის სიტუაცია პოლიტიკაში შესაძლოა გამოწვეულ იქნეს არა იმდენად პოლიტიკური ფაქტორებით, არამედ ეკონომიკური, სოციალური, ეთნიკური ფაქტორებით, ხოლო ეკონომიკური სიტუაციის წარმოშობა შესაძლოა გამოიწვიოს არა მხოლოდ ეკონომიკურმა ფაქტორებმა.

მსოფლიოს მასშტაბით გლობალიზაციის პროცესების დაჩქარებაზე რადიკალურ ზემოქმედებას ახდენს ყოვლისმომცველი კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციის სისტემა, რომლის საშუალებითაც ყალიბდება ხარისხობრივად ახალი პირობები საერთაშორისო ურთიერთობებისათვის.

გლობალიზაცია ეხება საერთაშორისო ურთიერთობების ისეთ ახლ სფეროსაც ისეთ ახალ სფეროსაც, როგორიც არის მსოფლიო ეკონომიკა. ის კი იმას ნიშნავს, რომ ამ სფეროში კომერციული ტრანსაქცია გარდაუვალად ახდენს ზეგავლენას ქვეყნების შიდა ეკონომიკებზე, წარმოებაზე, დემოგრაფიაზე, ეკოლოგიაზე, სოციალურ ურთიერთობებზე, პოლიტიკაზე და ა.შ.

გლობალიზაციამ განვითარებასთან ერთად განიცადა წინააღმდეგობა, როგორც ბუნებრივი, ასევე ინდივიდებს, თემებს და ცივილიზაციებს შორის. გლობალიზაციის საწყისები მომდინარეობს XVI და XVII საუკუნეებიდან, როდესაც ევროპაში მდგრადი ეკონომიკური ზრდის პროცესი მიმდინარეობდა ნავიგაციაში წარმატებებისა და გეოგრაფიული აღმოჩენების ფონზე. მე-XIX საუკუნეში სწრაფმა ინდუსტრიალიზაციამ გამოიწვია ევროპულ ქვეყნებსა, მათ კოლონიებსა და აშშ-ს

შორის ვაჭრობისა და ინვესტიციების ზრდა. ამ პერიოდში განვითარებად ქვეყნებთან არასამართლიანი ვაჭრობა ატარებდა იმპერიალისტური ექსპლუატაციის ხასიათს. XX-ე საუკუნის პირველ ნახევარში გლობალიზაციის პროცესი იქნა შეწყვეტილი ორი მსოფლიო ომის გამო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გლობალიზაცია განახლდა დაჩქარებული ტემპებით. მას ხელს უწყობდა ტექნოლოგიების გაუმჯობესება, რომლებმაც გამოიწვიეს სწრაფი საზღვაო, სარკინიგზო და საჰაერო გადაზიდვები, ასევე ხელმისაწვდომი სატელეფონო კავშირგაბმულობის შექმნა. საერთაშორისო ვაჭრობაში ბარიერების მოხსნისათვის 1947 წელს შეიქმნა გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახე. ხოლო 1995 წელს ამ შეთანხმების 75 წევრმა ქვეყანამ ჩამოაყალიბა საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO). მას შემდეგ ამ ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა გაიზარდა 153- მდე. 2001 წლის 26 მარტიდან საქართველო გახდა ამ ორგანიზაციის 137 წევრი ქვეყანა.

არსებობს ასევე ეკონომიკური ინტეგრაციის მსხვილი რეგიონალური ზონები. 1992 წელს ევროკავშირი, მაასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე, გახდა ერთიანი ეკონომიკური სივრცე. ეს სივრცე ითვალისწინებს საბაჟო გადასახადების გაუქმებას, შრომითი რესურსებისა და კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას, ასევე ევროს საფუძველზე ერთიან ფულად სისტემას. ნაკლებად მჭიდრო ინტეგრაცია შეინიშნება სამხრეთ ამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ზინაში: აშშ-ს, კანადასა და მექსიკას შორის (ნ. ჩადუნელი. 2013).

1.2. ტრანსნაციონალური კომპანიები და გლობალიზაცია

გლობალიზაციის ფენომენი წარმოადგენს სოციალურ მეცნიერებათა შესწავლის ერთერთ ძირითად ობიექტს. მაგრამ, იმის მიუხედად, რომ ამ თემაზე არსებობს დიდი რაოდენობის მეცნიერული და პუბლიცისტური ლიტერატურა, გლობალიზაციის პროცესი, მისი განვითარება, წარმოშობილი პრობლემები და

შედეგები ბოლომდე ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. ნაწილობრივ ეს დაკავშირებულია არსებული აგენტებისა და სხვა მონაწილეების მრავალფეროვნებითა და განვითარების სხვადსხვა დონით, მათ შორის გართულებული ურთიერთქმედების პროცესებით და გავლენების ცვლილებებით. ტრანსნაციონალური კორპორაციები გახდნენ სწორედ ასეთი აგენტები და შეძლეს სხვა მონაწილეებზე უფრო მეტად მიეღოთ სარგებელი მიმდინარე ცვლილებებიდან.

ტრანსნაციონალური კომპანიების ქვეს გულისხმობენ მსხვილ ბიზნეს ორგანიზაციებს, რომლთაც გააჩნიათ ერთიანი გლობალური განვითარების სტრატეგია და მიისწრაფვიან დომინირებული მდგომარეობის დამკვიდრებისკენ სხვადსხვა ქვეყნის ბაზრებზე, ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების ქსელის განვითარების გზით და სააქციო კაპიტალის შედარებით შეუზღუდავი ინვესტირებით. გაერთიანებული ერების ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მონაცემების მიხედვით მსოფლიოში არსებობს ტრანსნაციონალური კორპორაციების დაახლოებით 77000 დადა და 770000 შვილობილი კომპანია და ფილიალი. მათში დასაქმებულია 62 მილიონი თანამშრომელი, ხოლო წლიური ბრუნვა შეადგენს 4 მილიარდ აშშ დოლარს. ასეთი რესურსების არსებობა იძლევა იმის დასკვნის საშუალებას, რომ გლობალიზაცია დადებითად მოქმედებს ტრანსნაციონალურ კორპორაციებზე (Т.В. Ромашкин 2016).

ტრანსნაციონალური კორპორაციები თავის საქმიანობაში შემოსაზღვრულნი არიან მკაცრი პირობებით. მათ არ შეუძლიათ აწარმოონ ბიზნესი რიგ ღარიბ ქვეყანაში, რომელთაც არ შესწევთ უნარი შესთავაზონ მათ ხელსაყრელი გარემო ინვესტიციებისათვის და რომელთაც არ გააჩნიათ კონკურენტული უპირატესობები იაფი სამუშაო ძალისა და ნედლეულის სახით. ეს სახელმწიფოები აწყდებიან მკაცრ რეალობას: ტრანსნაციონალური კორპორაციების მოზიდვისათვის საკმარისი არ არის კარგი პოლიტიკისა და მართვის სისტემის არსებობა. წარუმატებელნი

რჩებიან ის სახელმწიფოები, რომლებთან არ გააჩნიათ განვითარების შანსი ვაჭრობის განვითარების და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოტენციალის, ასევე მოსახლეობის ემიგრაციის გამო.

თუ ტრანსნაციონალური კორპორაცია იღებს ბიზნესის წარმოების გადაწყვეტილებას ღარიბ ქვეყანაში, მაშინ ამ უკანასკნელთა მთავრობები იწყებენ შეჯიბრს ერთმანეთში, რომ მოიზიდონ ინვესტორი, სთავაზობენ რა მათ უფრო ხელსაყრელ პირობებს. ასეთი პროცესი ემუქრება მიმღებ ქვეყანას დაზარალდეს არასწორი ფინანსური და საშეღავათო პოლიტიკის გამო.

ტრანსნაციონალური კომპანიები წარმოადგენენ მონაწილეებს მხოლოდ სახელმწიფოების დონეზე, ხილო უფრო მაღალ დონეზე გამოდიან აგენტების სახით და გვევლინებიან თავისებურ გლობალიზაციის გამტარებლებად. გლობალიზაცია ტრანსნაციონალური კომპანიების მხრიდან კონტროლს არ ექვემდებარება და ისინი იძულებულნი არიან შეუსაბამონ თავიანთი სტრატეგიები მუდმივად ცვალებად გარემოს.

ამრიგად, რა ქმედებებიც არ უნდა განახორციელონ ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა და მსოფლიო პროცესების სხვა მონაწილეებმა, გლობალიზაციის პროცესის შეჩერება უკვე შეუძლებელია, ამიტომ აუცილებელია ადაპტირება და მცდელობა იმისა, რომ მოახდინონ სინქრონიზაცია ცვალებად გარემოსთან და მიაღწიონ დასახულ მიზნებს.

მაშასადამე, ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი, როგორც გლობალიზაციის აგენტებისა მდგომარეობს შემდეგი ოპერაციების შესრულებაში (С. Ю. Зайцева 2018):

- ფინანსური კაპიტალის, მატერიალური რესურსების და ტექნოლოგიების გადადინება ერთი ქვეყნიდან მეორეში;
- მიმღები ქვეყნის ჩართვა მსოფლიო ეკონომიკაში და შრომის საერთაშორისო განაწილებაში;
- მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის სამომხმარებლო ქცევის საერთო მოდელის ფორმირება;

- ერთიანი, მსოფლიო საინფორმაციო სივრცის შექმნა, ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში მსხვილი კორპორაციებისა და ინტერნეტის გავრცელების ხარჯზე;
- დიალოგის შესაძლებლობებისა და თანამშრომლობის მექანიზმების ძიების გზების ინტენსიფიკაცია მონაწილეთა ურთიერთდამოკიდებულების ზრდის გამო.

მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიები, როგორც წესი არიან განვითარებულ ქვეყნებში, მაგრამ ბოლო წამყვანი კომპანიების რიცხვში მნიშვნელოვნად გაიზარდა ისეთი ქვეყნების კომპანიების რიცხვი, როგორებიცაა ჩინეთი, ბრაზილია, ჰონკონგი და ა.შ. თანამედროვე ეტაპზე წამყვანი კომპანიების ტოპ ათეულში გამოჩნდნენ ჩინური ტრანსნაციონალური კომპანიები (იხ ცხრილი 1.1).

ცხრილი 1.1.

მსოფლიოს უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციის რეიტინგი (2017)

N	კომპანია	ქვეყანა	ბრუნვა (მლრ. $)	მოგება (მლრ. $)	აქტივები (მლრ. $)
1.	Walmart	აშშ	485.7	26.363	203.706
2.	Sinopec	ჩინეთი	434.8	17.2	223.305
3.	Royal Dutch shell	დიდი ბრიტანეთი	421.105	14.874	353.116
4.	China National Petroleum Corporation	ჩინეთი	432.000	16.317	481.07
5.	Exxon Mobil	აშშ	394.105	32.520	349.493
6.	BP	აშშ	358.7	4.003	284.3
7.	State Grid Corporation of	ჩინეთი	333.400	5.678	351.38

	China				
8.	Volkswagen	გერმანია	229.227	22.2	Volkwagen Group
9.	Toyota	იაპონია	200.270	8.7	377.281
10.	Total	საფრანგეთი	199.71	9.2	229.798

***ცხრილი შედგენილია Fortune Global 500-ის მონაცემებზე დაყრდნობით**

როგორც ცხრილიდან ჩანს, წამყვანი ტრანსნაციონალური კომპანიების ტოპ-10-ში შედის 3-აშშ-ს, 3 ჩინური და თითო დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, იაპონიის და საფრანგეთის ტრანსნაციონალური კორპორაციები.

მსოფლიო ბაზარზე ათასობით ტრანსნაციონალური კომპანიების მონაწილეობის გათვალისწინებით მონოპოლიზაციის დონე ძალიან მაღალია. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია მეცნიერებადტევად სამრეწველო დარგებში, რაც აიხსნება ამ დარგების ინვესტიციებზე და კვალიფიციურ კადრებზე დიდი მოთხოვნით. მსოფლიო ბაზარზე სუპერ მონოპოლიების დომინირება განისაზღვრება იმით, რომ მათ უკავიათ დომინირებული მდგომარეობა არა მხოლოდ საქონლის წარმოებაში და ექსპორტში, არამედ პატენტებითა და ლიცენზიებით ვაჭრობის სფეროში, სხვადასხვა ტექნიკური მომსახურების გაწევაში, სხვადსხვა სახელშეკრულებო სამუშაოების გაწევაში, ვინაიდან ტრანსნაციონალური კომპანიების კონტროლის ქვეშ იმყოფებიან სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო ინსტიტუტების დიდი ნაწილი, რომლებშიც დაგროვილია მოწინავე საწარმოო გამოცდილება.

იმისათვის, რომ კორპორაცია მიაკუთვნონ ტრანსნაციონალურს იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ქვეყნების რაოდენობა სადაც ოპერირებს კორპორაცია (უნდა იყოს მინიმუმ 2-დან 6 ქვეყნამდე);

- მინიმალური ქვეყნების რაოდენობა სადაც განლაგებულია კორპორაციის საწარმოო სიმძლავრეები;
- კორპორაციის განსაზღვრული ზომა, რომელსაც მიაღწია მან;
- შემოსავლებში უცხოური ოპერაციებიდან ან გაყიდვებიდან მინიმალური წილი (როგორც წესი იგი შეადგენს მინიმუმ 25%-ს);
- სამ ან მეტ ქვეყანაში 25%-ზე მეტი აქციების ფლობა;
- კორპორაციის შემადგენლობისა და უმაღლესი მართველი რგოლის ინტერნაციონალური შემადგენლობა.

ტრანსნაციონალური კორპორაციების დონის შეფასებისათვის იყენებენ შესაბამის ინდექს, რომელიც წარმოადგენს შემდეგი სამი მაჩვენებლის საშუალო მნიშვნელობას, ეს მაჩვენებლებია: უცხოური აქციების ფარდობა აქციების საერთო მოცულობასთან, უცხოური გაყიდვების ფარდობა გაყიდვების საერთო მოცულობასთან და საზღვარგარეთ მომუშავე თანამშრომლების ფარდობა კორპორაციაში დასაქმებულ საერთო თანამშრომელთა რიცხვთან.

1.3. საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტის თავისებურებანი

მენეჯმენტი, როგორც მმართველობითი საქმიანობა, ახასიათებს საწარმოებს, რომლებიც ფუნქციონირებენ საბაზრო პირობებში. მოთხოვნილება მენეჯმენტში წარმოიშვება დიდი ან მცირე რაოდენობა ადამიანების საქმიანობის კოორდინაციის აუცილებლობის შემთხვევაში, რომელთაგან ყოველი ასრულებს განსაზღვრულ სამუშაოს. დასახული მიზნის მისაღწევად კომპანიას აუცილებლად ესაჭიროება განსაზღვრული რაოდენობის რესურსების გამოყენება (მატერიალური, ფინანსური, ადამიანური, ინფორმაციული). სწორედ მენეჯმენტი წარმოადგენს იმ რგოლს, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული რესურსების ეფექტიან გამოყენებას. ძირითად განმსაზღვრელ თვისებას, რომელიც ახასიათებს საერთაშორისო მენეჯმენტს, წარმოადგენს ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია და გლობალიზაცია.

ინტერნაციონალიზაცია არის ნაციონალური საზღვრების გავლით მეწარმე სუბიექტების ეკონომიკური საქმიანობის მზარდი გეოგრაფიული დისპერსია. კომპანიების რიცხვი, რომლებიც ახორციელებენ საერთაშორისო ეკონომიკურ საქმიანობას, განუწყვეტლივ იზრდება. ასეთი ტენდენცია განსაზღვრულწილად განპირობებულია სასაქონლო ოპერაციების სულ უფრო მზარდი რაოდენობით რეგიონალურ ვაჭრობაში ევროკავშირის (EC), ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის (ASEAN) ასოციაციის, სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოთა შორის თავისუფალი ვაჭრობის (NAFTA) ასოციაციის და სხვა გაერთიანების მასშტაბით.

გარემო, რომელშიც ოპერირებენ მენეჯერები გახდა სულ უფრო მრავალ ვექტორული და ინტერნაციონალური: ეს არის მენეჯერების მუშაობა საზღვარგარეთ, მათი მონაწილეობა ინტერნაციონალურ გუნდში, რომელშიც შედიან რამდენიმე ქვეყნის წარმომადგენლები, ასევე საწარმოს მართვა, თანამშრომლები, ორგანიზაციული სისტემა და სტრუქტურა, რომლებიც ასევე არის ინტერნაციონალური. სათაო ოფისის თანამშრომლებმა აუცილებელია დაალაგონ ურთიერთობები თავის კოლეგებთან სხვა ქვეყნებში, ხოლო მისმა მენეჯერებმა - მართველებთან, რომელთა გამოცდილების ფორმირება ხდებოდა სხვადასხვა ორგანიზაციაში, ინსტიტუტებსა და კულტურებში. აქედან ბუნებრივია ისმის კითხვა: გააჩნია თუ არა საერთაშორისო მენეჯმენტს რაიმე თავისებურებანი, თუ კომპანიის საგარეო ურთიერთობათა საქმიანობის მართვისათვის სრულიად გამოსადეგია ჩვეულებრივი, ანუ მენეჯმენტის ნაციონალური მოდელი? იმისათვის, რომ სწორად ვუპასუხოთ დასმულ კითხვას, აუცილებელია საერთაშორისო ბიზნესის თავისებურებანი გავიგოთ, როგორც მენეჯმენტის ობიექტი და მხოლოდ ამის შემდეგ განვიხილოთ კომპანიის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მენეჯმენტის თავისებურებანი.

ამ ურთიერთკავშირში საერთაშორისო ბიზნესი გამოდის, როგორც მართვის სისტემა, ხოლო საერთაშორისო ბიზნესის მართვა - კი როგორც მმართველობითი სისტემა. ვინაიდან საერთაშორისო ბიზნესის მართვასთან, კერძოდ მის იმ ნაწილთან, რომელიც დაკავშირებულია მის საერთაშორისო ეკონომიკურ

საქმიანობასთან, მაშინ სრულიად ლოგიკურია დასაწყისში განვიხილოთ მმართველობითი სისტემის თავისებურებანი.

საერთაშორისო ბიზნესის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს მოგების მიღება. მაგრამ, საერთაშორისო ბიზნესი ეფუძნება სწორედ მოგების მიღებას ქვეყნებს შორის ეკონომიკური ოპერაციებიდან, ეს კი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ რაიმე საქონლის გაყიდვა სხვა ქვეყანაში ან ერთი ქვეყნის კომპანიის მიერ სხვა ქვეყანაში წარმოების აწყობა, უზრუნველყოფს ბიზნეს მხარეებისათვის მნიშვნელოვნად მეტ უპირატესობას, ვიდრე მათ ექნებოდათ ბიზნესის წარმოებისას მხოლოდ თავის ქვეყანაში. ეს დასკვნა წარმოადგენს საკვანძო მომენტს არა მხოლოდ საერთაშორისო ბიზნესის თვალთახედვით, არამედ ხსნის საერთაშორისო მენეჯმენტის წარმოშობისა და განვითარების აუცილებლობას. ამრიგად, საერთაშორისო ბიზნესი - ეს არის კომპანიების, ან მათი სხვა ქვეყნებში განთავსებული ქვეგანყოფილებების, ეკონომიკური ურთიერთქმედება. საერთაშორისო ბიზნესი, წარმოადგენს ეკონომიკური ინტეგრაციის ანუ გლობალიზაციის, მძლავრ ინსტრუმენტს და განისაზღვრება შემდეგი მახასიათებლებით (К.А. Флегонов 2016):

- ხელმისაწვდომობა და უნივერსალობა. დღესდღეობით ნებისმიერი კომპანიის ბიზნეს აქვს ფართო შესაძლებლობები საერთაშორისო სივრცეში გასასვლელად და თავისი საქმიანობის გასაფართოებლად.
- განვითარების იერარქიულობა. კომპანიის შესვლა საერთაშორისო ბიზნესში იწყება საგარეო ვაჭრობის უბრალო ფორმებით და განვითარების და მიხედვით შესაძლოა მიაღწიოს მისი ორგანიზაციის უმაღლეს ფორმას - ტრანსნაციონალურ კომპანიას.

საერთაშორისო ბიზნესის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობაში მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება ტერიტორიულ ქვეგანყოფილებებს, აქედან გამომდინარე უნდა ვიგულისხმოთ წარმოების დამატებითი ღირებულების გლობალური მიზნების ოპტიმალური სისტემის ფორმირება, როგორც საერთაშორისო შრომის

განაწილების ფენომენისა. ამიტომ ტრანსნაციონალური კორპორაციები განუწყვეტლივ თვალყურს უნდა ადევნებდნენ კომპანიის დამატებით ღირებულებას და შეჰქონდეთ განსაზღვრული კორექტივები მის სივრცით ფორმატში.

ინვესტირებისა და ეფექტიანი საქმიანობის ორგანიზებისათვის ქვეყნის არჩევის პროცესში, ტრადიციული ფაქტორების გარდა, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული კულტურული და ინსტიტუციონალური ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ტრანზაქციონალურ დანახარჯს მენეჯმენტზე, მარკეტინგზე, კროსს-კულტურული პრობლემების დაძლევაზე, ამორჩეული ქვეყნის ორგანიზაციებთან ურთიერთობებზე და ა.შ. ტრანზაქციურმა ხარჯებმა (კორუფციის დონე, დანახარჯები ფორმალურ ბიუროკრატიულ პროცედურებზე და სხვა) შესაძლოა მნიშვნელოვნად გადააჭარბონ „ტრადიციულ“ ხარჯებს, როგორებიცაა: საწარმოო, სატრანსპორტო, მარკეტინგზე გაწეული და სხვა ხარჯები.

კონკრეტული ქვეყნის შერჩევის და იქ ტრანსნაციონალური კომპანიის სტრუქტურული ქვეგანყოფილების განთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გათვალისწინებულ იქნეს საწარმოო ობიექტების განთავსების თეორია და პრაქტიკა.

საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ინტერნაციონალიზაციის პროცესი, მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციური ცვლილებები ითხოვს შესაბამის ასახვას საერთაშორისო მენეჯმენტის პარადიგმაში. მიდგომების მრავალფეროვნების მიუხედავად, რომლებიც საფუძვლად უდევს ახალ საეთაშორისო მენეჯმენტს, იძლევა საშუალებას გამოყოფილ იქნეს შემდეგი ძირითადი დებულებები:

- ბაზარზე გასვლის დროის განსაზღვრა და მისი როგორც სტრატეგიული რესურსის ათვისება, კომპანიის ადამიანურ და ინტელექტუალურ კაპიტალთან ერთად;

- კორპორაციის, როგორც ღია სისტემის განხილვა, რომელსაც საფუძვლად უდევს შიდა და გარე საპარტნიორო ურთიერთობების, ასევე ჰორიზონტალური ინტეგრაციული კავშირების განვითარება;
- კორპორაციის საერთაშორისო დაგეგმვისა და მართვის დეცენტრალიზაცია;
- საერთაშორისო ბიზნესის პროგნოზირება და დაგეგმვა, გლობალური ბიზნეს გარემოს ანალიზის საფუძველზე.

ახალი საქონლის შემუშავებისა და მათი წინსვლის დინამიკა საერთაშორისო ბაზარზე კომპანიისაგან მოითხოვს პერმანენტული საინვესტიციო პროცესის ფუნქციონირებას. საქონლის პროექტირება, მისი წარმოება და ბაზარზე გასვლა უნდა განხორციელდეს ერთიან უწყვეტ კომპლექსში. ინოვაციების გენერირება უნდა მოხდეს განუწყვეტელ დინამიურ რეჟიმში მთელი ჯაჭვის განმავლობაში, რომელიც ახდენს ბაზრის შესაძლო ცვლილებების პროგნოზირებას და მყისიერად რეაგირებს მათზე. ამის ნათელ მაგალითებს წარმოადგენს კომპანია Kodak-ის გაკოტრება და სიძნელეები, რომელიც წარმოეშვა კომპანია Nokia-ს. (С. Ю. Зайцева 2018).

გლობალიზაციის პროცესებმა გამოავლინეს საინტერესო კანონზომიერება: უკანასკნელ პერიოდში წარმატებული ბიზნეს-პროექტების უდიდეს უმრავლესობას საფუძვლად უდევს, არა მხოლოდ გაანგარიშებები, არამედ ინტუიციაც. მცირდება კლასიკური ანალიტიკური საბაზრო კვლევების და ავტორიტეტული სპეციალისტების პროგნოზების როლი. ხშირად ეკონომიკური სიტუაციის გათვლა შეუძლებელია, ხოლო გადაწყვეტილება სასწრაფოდ არის მისაღები. წარმოიშვა წინააღმდეგობა პრობლემების გაზრდილ რაოდენობას, სირთულეს და ადამიანების უნარს შორის გადაწყვიტონ ისინი. ამიტომ გლობალიზაცია - არის ინტუიციის ბატონობის დრო. ცვლილებების გაზრდილი ტემპები მოითხოვენ საერთაშორისო მენეჯმენტისადმი ახალ მიდგომებს, მათ შორის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღებისადმი. კლასიკური მენეჯმენტის სტერეოტიპები მოძველდნენ, ისინი ადგილს უთმობენ ახალ მოდელებს, რომლებიც ეფუძნებიან

ალბათობასა და ვარიანტულობას, დაინტერესებულ მხარეებს შორის კონსენსუს, იმის გაგებას, რომ ეკონომიკური მოვლენები და პროცესები არ არიან დეტერმინირებულნი დროსა და სივრცეში, ხოლო კორპორაცია ეს არის გახსნილი სისტემა, რომლის რეაქცია გარემოს ცვლილებაზე, მისი ფუნქციონირება არ წარმოადგენს ერთმნიშვნელოვან მოვლენას და ხშირად არის განუსაზღვრელი.

ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობაში ფართოდ გავრცელდა ჰორიზონტალური პარტნიორობა, მათი მისწრაფება მოქნილი ქმედებებისაკენ. კორპორაციები თავისუფლდებიან დაგროვილი უზარმაზარი კაპიტალური აქტივებისაგან და მართვის აქცენტები გადააქვთ არამატერიალურ აქტივებზე. ტრანსნაციონალური კორპორაციები აწყობენ თავიანთ შიდა სტრუქტურას ისე, რომ მათი ქვეგანყოფილებები კონკურენციას უწევდნენ ერთმანეთს. ვრცელდება ორგანიზაციული სტრუქტურები, რომლებიც ეფუძნებიან მცირე ჯგუფებს, რომლებიც სტიმულირებას უძევენ შიდა საფირმო კონკურენციას.

საერთაშორისო თანამედროვე ბიზნესისათვის დამახასიათებელია ახალი ტიპის გლობალური კომპანიების განვითარება. საერთაშორისო კომპანიები გადაიქცნენ უფრო მოქნილ და ნაკლებად ცენტრალიზებულ გაერთიანებებად, რომლებსაც უწოდებენ მეხუთე თაობის ტრანსნაციონალურ კომპანიებს. მათ არ გააჩნიათ მკაფიო საზღვრები ან დარგობრივი სპეციალიზაცია, დაფუძნებულნი არიან სხვადასხვა ჰოლდინგების სისტემაზე. ახალი სტრუქტურები წარმოიშვებიან, ასევე არატრადიციულ კორპორაციულ ჩარჩოებში სხვადასხვა საერთაშორისო ალიანსების ან ხანგრძლივვადიანი პარტნიორული ურთიერთობების სახით.

1.4. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის ინსტრუმენტები და ორგანიზაციული სტრუქტურა

ცნობილია, რომ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში არსებობს შემდეგი ძირითადი ინსტრუმენტები:

- მათემატიკური გათვლის მექანიზმი;

- პროგნოზირება;
- სისტემური ანალიზი;
- თამაშის თეორია;
- ექსპერიმენტული შეფასება;
- ეროვნული შემოსავლების გათანაბრება;
- ეროვნული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა;
- ფისკალური პოლიტიკა;
- სავაჭრო პოლიტიკა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, არსებობს საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის განვითარების შემდეგი ეტაპები:

1. კომპანიის მართვის ალტერნატივების მოძებნა. ამ დროს ყველა სახის სამმართველო გადაწყვეტილების მიღება უნდა ხდებოდეს ალტერნატიულობის პრინციპის საფუძველზე;

2. საუკეთესო ალტერნატივის ამორჩევა, რომელიც გულისხმობს მრავალვარიანტული გადაწყვეტილების შესაფასებლად კრიტერიუმის დადგენას და მათგან ერთი საუკეთესო ვარიანტის შერჩევას. ასეთი კრიტერიუმი ნებისმიერი კომპანიისათვის არის მოგების სიდიდე, რომელიც განსაზღვრავს ფირმის განვითარების მიმართულებებს;

3. კომპანიის სამმართველო გადაწყვეტილებათა გავრცელების არეალის განსაზღვრა. იგი გულისხმობს ყოველი კონკრეტული გადაწყვეტილებისათვის ადრესატის დადგენას, რომლისთვისაც სავალდებულო გახდება მიღებული გადაწყვეტილების რეალიზაცია;

4. მიღებულ გადაწყვეტილებათა დამტკიცება. იგი გულისხმობს მიღებულ გადაწყვეტილებათა განხილვის საჯაროობის ხარისხს, თუ ვისთან უნდა იქნეს იგი შეთანხმებული და განხილული;

5. მიღებულ გადაწყვეტილებათა მოქმედებაში მოყვანის პროცესის მომზადება. ეს ეტაპი გულისხმობს კომპანიის ფუნქციური ორგანოს განსაზღვრას

და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად მის ორგანიზაციულ-სტრუქტურულ მომზადებას;

6. გადაწყვეტილებათა შესრულების ხელმძღვანელობა. ეს არის მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის კონტროლი ქსელური გრაფიკების გამოყენებით, რომელიც მოიცავს განსახორციელებელ გადაწყვეტილებათა ყველა სამუშაოს დასახელებას, მათ შორის ურთიერთკავშირს, შესრულების თანმიმდევრობასა და შესრულების ვადებს;

7. გადაწყვეტილებათა ეფექტიანობის განსაზღვრა. იგი გულისხმობს გადაწყვეტილებათა განხორციელების მოსალოდნელი შედეგების შედარებას იმ კრიტერიუმთან, რომელიც მას დაედო საფუძვლად.

დაპროექტების მთელი ეს პროცედურა საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში, საბოლოოდ მოიცავს ობიექტის ოპტიმალური ზომის განსაზღვრას, რომლის დროსაც რეალურადაა შესაძლებელი მისი ფუნქციონირება და დასახული მიზნის მიღწევა. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოცემული ფირმა ითვლება მართვად სისტემად.

საერთაშორისო ბიზნესის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა აუცილებელია პასუხობდეს მთელ რიგ მოთხოვნებს, როგორიცაა:

- ოპტიმალური ზომა;
- მართვის საფეხურიანობის მინიმუმი;
- ეკონომიურობა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი შესაბამისობა მართვის გამოყენებულ ორგანიზაციულ ფორმებთან. ცნობილია საერთაშორისო ბიზნესის მართვის სამი ძირითადი ორგანიზაციული ფორმა:

- წრფივი;
- ფუნქციური;
- კომპლექსური.

თითოეულ მათგანს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. საერთაშორისო ბიზნესის წრფივი მართვის ფორმის დროს კომპანიაში

დასაქმებული ყველა ადამიანი დავალებას იღებს ერთი ხელმძღვანელისაგან. ამის დადებითი მხარე ისაა, რომ გადაწყვეტილების გაცემასა და რეალიზაციას შორის ცდომილება მინიმუმამდე მცირდება, მაგრამ მისი ნაკლოვანება ისაა, რომ ასეთი ერთპიროვნული გადაწყვეტილებები შეიძლება აღმოჩნდეს სუბიექტური, ტენდენციური და ხშირად უსამართლოც კი. საერთაშორისო ბიზნესის მართვის ფუნქციური ფორმის დროს კომპანია დანაწევრებულია ცალკეულ სამართავ ფუნქციურ ქვედანაყოფებად, რომელთაც შესაბამისი რგოლის მენეჯერები ხელმძღვანელობენ. ამ დროს კომპანიის ძირითადი მენეჯერი ცალკეული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას კოლეგიალობის პრინციპის საფუძველზე.

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის ამოცანები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს, ესენია ფუნქციური და სიტუაციური ამოცანები. შესაბამისად იყოფა თავად მენეჯმენტის პროცესი. ფუნქციური ამოცანები დაქირავებული მუშაკებისათვის წინასწარ ცნობილი, განმეორებადი პროცესების ერთობლიობაა. სიტუაციური ამოცანები საერთაშორისო ბიზნესის წარმართვის პროცესში წარმოქმნილი სიტუაციების სწრაფი ცვლილებითაა გამოწვეული. ასეთი გადაწყვეტილება უფრო ობიექტურია, რადგანაც იგი მიიღება ადამიანთა ჯგუფის მიერ. ეს გარემოება ამცირებს გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე თითოეულ ადამიანთა პასუხისმგებლობის გრძნობას. საერთაშორისო ბიზნესის მართვის პრაქტიკაში ყველაზე ფართოდ გამოიყენება მართვის კომპლექსური ფორმა, რაც ნიშნავს ზემოთ აღნიშნული ორივე ფორმის ერთდროულ გამოყენებას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მართვის ორგანიზაციულ ფორმას განსაზღვრავს ბიზნესის მასშტაბები, განვითარების საორიენტაციო მიმართულება და ა.

თავი.2. ტრანსნაციონალური კომპანიების მენეჯმენტის თავისებურებანი

2.1. ტრანსნაციონალური კორპორაციების ტიპები, წარმოშობის მიზეზები და დახასიათება

ტრანსნაციონალური კორპორაცია, კორპორაციის განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენს, რომელიც გასცდა ეროვნულ ფარგლებს და მსოფლიო ბაზარზე საქმიანობას თავისი საზღვარგარეთული ფილიალებისა და შვილობილი საზოგადოებების მეშვეობით ახორციელებს. ეს არის ეროვნული კომპანია საზღვარგარეთული აქტივებით ანუ ეროვნული - კაპიტალითა და კონტროლით და საერთაშორისო - საქმიანობის სფეროს მიხედვით. კონტროლს დაქვემდებარებული საზღვარგარეთული საწარმოების წარმოქმნა ხორციელდება უმსხვილესი ეროვნული კორპორაციების კაპიტალის ექსპორტის საფუძველზე (გ. ბაღიშვილი. 2013).

თანამედროვე პირობებში ტრანსნაციონალური კორპორაციები მსოფლიო ბაზრის ერთ-ერთ ძირითად სუბიექტად იქცა. ისინი უნდა განვასხვაოთ ეროვნებათაშორისი კორპორაციებისგან, რომლებიც სხვადასხვა ეროვნული წარმოშობის კაპიტალის შერწყმის შედეგად იქმნება. ტრანსნაციონალური კორპორაციების დამახასიათებელი ნიშანია მათი სამრეწველო მიმართულება. პირველი ტრანსნაციონალური კორპორაციები ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა, როცა უმსხვილესი მონოპოლიების მიერ კაპიტალის გატანის ბაზაზე იქმნებოდა საზღვარგარეთული საწარმოო ფილიალები. XX საუკუნის ბოლოსთვის ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაში. ასევე ტრანსნაციონალურ კომპანიებში მოიაზრება სამეწარმეო გაერთიანება, რომელიც ერთერთ ქვეყანაშია რეგისტრირებული და მოქმედებს მრავალი ქვეყნის ტერიტორიაზე საზღვარგარეთული ფილიალების ან შვილობილი სამეწარმეო ფირმების მეშვეობით (ნ. ჩადუნელი 2013). ტრანსნაციონალური კომპანია ეს არის სამეწარმეო ფირმა, რომელიც თავისი

იურისდიქციას ქვეყნის ფარგლებს გარეთ, სხვა სახელმწიფოებში ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას. ჩვეულებრივ, ტრანსნაციონალური კომპანიის საზღვარგარეთული საქმიანობის ხვედრითი წილი მისი საქონლის და მომსახურების რეალიზაციის საერთო მოცულობაში ბევრად აღემატება 50 პროცენტს.

მსოფლიო ეკონომიკას ტრანსნაციონალური კორპორაციები საერთაშორისო წარმოებად გარდაქმნის და უზრუნველყოფს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ყველა მიმართულებით დაჩქარებას იქნება ეს ტექნიკური დონე თუ პროდუქციის ხარისხი, წარმოების ეფექტიანობა, საწარმოთა მენეჯმენტის, მათი მართვის დახვეწა. ტრანსნაციონალურ კორპორაციებში იგულისხმება საერთაშორისო ფირმები, სამეურნეო ქვედანაყოფებით ორ ან მეტ ქვეყანაში, რომელთა მართვასაც ისინი ერთი ან რამდენიმე ცენტრიდან ახორციელებენ გადაწყვეტილებათა მიღების ისეთი მექანიზმის საფუძველზე, რომელიც შეჯერებული პოლიტიკისა და ერთიანი სტრატეგიის გატარების, რესურსების, ტექნოლოგიების და შედეგის მიღწევის - მოგების მიღების გამო პასუხისმგებლობის განაწილების საშუალებას იძლევა.

ტრანსნაციონალური კომპანიების შექმნა, ყველაზე გავრცელებულ ფორმად გვევლინება. ასევე საყოველთაოდ ცნობილი შვედური ფირმა ნესტლე, რომელიც კვების პროდუქტებს აწარმოებს, საზღვარგარეთული ფილიალების მეშვეობით ახორციელებს. უმსხვილეს ამერიკულ ფირმებში: „ფორდ მოტორსი", „ეკსონი", „მობილი", „სტანდარტ ოილი", „ისტმენ-კოდაკი", „პროქტერ ენდ გემბლ" - რეალიზაციის ხვედრითი წილი, რომელიც საზღვარგარეთულ ფილიალებზე მოდის, 68-დან 89-მდე პროცენტს შეადგენს. იაპონური „ტოიოტა", „ნისანი", „ჰონდა" - უშვებენ ავტომობილებს არა მარტო იაპონიაში, არამედ კორეაში, აღმოსავლეთის არაბულ ქვეყნებში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და აშშ-შიც კი.

როდესაც ტრანსნაციონალური კომპანია ღებულობს გადაწყვეტილებას საზღვარგარეთ საქმიანობის გაფართოების შესახებ, ის კონკრეტულ რეგიონს და ქვეყანას ირჩევს ისეთი ფაქტორების საფუძველზე, როგორიცაა;

- საბაზრო პირობები;
- წარმოებისა და მუშახელის ფაქტორები;
- ხარჯები და კადრების კვალიფიკაცია;
- კომუნიკაციები და სხვა ინფრასტრუქტურული სისტემები;
- კომუნალური მომსახურება;
- ეკონომიკური და ფინანსური პირობები;
- კულტურის აღქმა;
- სარისკო სიტუაციები;
- პოლიტიკური რისკის ჩათვლით.

უცხოური ფირმის შვილობილი კომპანია მთავრობის მხარდაჭერას ვერ მიიღებს, თუ არ შეუძლია თავისი პირველადი ვალდებულებების შესრულება. არც თუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც შვილობილი კომპანია ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივ მოქალაქეთა საკმარის მონაწილეობას საწარმოს სააქციო კაპიტალში, არ ქირაობს ადგილობრივ მმართველებს უმაღლეს ხელმძღვანელთა პოსტებზე, არ სცემს პატივს ეროვნულ კანონებსა და შრომით ტრადიციებს. ცენტრალურ ოფისსა და შვილობილ კომპანიას შორის ურთიერთობებს საბაზრო ფაქტორები განაპირობებს. თუ ტრანსნაციონალური კომპანია სხვადასხვა ქვეყნების ბაზარზე ყიდის ტექნოლოგიებს, შვილობილ ფირმას უნდა ჰქონდეს ოპერატიული რეაგირების რეალური შესაძლებლობა ადგილობრივ საბაზრო მოთხოვნილებებზე. ის მოქმედებს, როგორც ტრანსნაციონალური კომპანიის სტრუქტურული ქვედანაყოფი, რომელიც ახალ ტექნოლოგიებზეა ორიენტირებული, და რომლის საქმიანობის შედეგებიც ფასდება მიღებული მოგების მოცულობით.

მსოფლიოს გარკვეულ რეგიონში მდებარე შვილობილი ფირმების ერთობლიობის მართვისთვის ტრანსნაციონალური კორპორაციის სათაო კომპანიას შეუძლია საბაზისო რეგიონული ქვეჰოლდინგების შექმნა, როგორც მოცემულ კონკრეტულ რეგიონში მოქმედი შვილობილი ფირმების აქციების მფლობელებისა. მაგალითად, ტრანსნაციონალური კორპორაცია „IBM"-ის

ძირითად საბაზისო რეგიონულ ქვეჰოლდინგებს კომპანია „IBM world trade corporation-ის“ ხუთი განყოფილება წარმოდგენს, რომელთა საქმიანობაც შესაბამისად ევროპაზე, კანადაზე, ლათინურ ამერიკაზე, სამხრეთ აფრიკასა და წყნარი ოკეანის ბასეინზეა მიმართული. ქვეყნის ტერიტორიაზე ტრანსნაციონალური კომპანიის შვილობილი კომპანიების შექმნა შეიძლება განხორციელდეს პირდაპირ ან შუალედური ფირმების მეშვეობით, რომლებსაც პერსპექტივაში რეგიონში ამ ტნკ-ის ქვეჰოლდინგის როლის შესრულება შეეძლებათ. ასეთი შეიძლება აღმოჩნდეს სხვადასხვა სამეწარმეო ფირმები, მათ შორის:

- ქვეყანაში ასპროცენტიანი უცხოური კაპიტალით ან ერთობლივი საწარმოების სახით შექმნილი და რეგისტრირებული ფირმები;
- უცხოური სამეწარმეო ფირმები;
- ქვეყნის არარეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ შექმნილი ოფშორული სამეწარმეო ფირმები;
- ქვეყნის რეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ შექმნილი ოფშორული სამეწარმეო ფირმები.

ერთი ქვეყნის იურისდიქციით აღჭურვილი ტრანსნაციონალური კორპორაციების სხვა სახელმწიფოთა ეროვნულ ბაზრებზე გასვლის ხერხები იგივეა. ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, აქვთ რა შვილობილი ფირმები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, ამ ქვეყნების ეკონომიკათა არათანაბარი განვითარების დონეთა გათვალისწინებით შეუძლიათ რესურსებით, მზა პროდუქციით მანევრირება დანახარჯების შემცირებისა და სხვადასხვა ქვეყნების ეროვნულ ბაზრებზე კონკურენტული პოზიციების გამყარების მიზნით. ტნკ-ის ქვეყნის ბაზარზე გასვლა ხელსაყრელი იქნებოდა არა მარტო ქვეყანაში რეგისტრირებული სააქციო საზოგადოების აქციების შეძენა ახალი სააქციო საზოგადოების ჩამოყალიბება პირდაპირი ინვესტირება თავად ტნკ-სათვის, არამედ ქვეყნისათვისაც, ვინაიდან რიგი ისეთი სერიოზული პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობას შექმნიდა, როგორებიცაა:

- უმუშევრობის თავიდან აცილება;
- ქვეყნის ბაზარზე ტნკ-ებს შორის კონკურენციის გააქტიურების ხარჯზე ბაზრის საქონლით გაჯერება;
- მოქმედი სამრეწველო სიმძლავრეების განახლებული ტექნიკური აღჭურვა და რეკონსტრუქცია, ბიუჯეტის შევსება ტნკ-ების საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადებით.

საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების გზაზე არსებულ შეზღუდვებს, მწარმოებლის ძლიერ მონოპოლიურ გავლენას, სავალუტო კონტროლს, სატრანსპორტო დანახარჯებს, საგადასახადო კანონმდებლობების განსხვავებებს უკავშირდება. ტრანსნაციონალურ კორპორაციებს რიგი უდავო უპირატესობები გააჩნიათ. საზღვარგარეთული ფილიალები უკიდურესად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ უცხოურ ბაზრებზე გასვლის უზრუნველყოფის, წარმოების ხარჯების შემცირების, მოგების ზრდის მიმართულებით. ეს ყველაფერი უზრუნველყოფს ტრანსნაციონალური კორპორაციების ფინანსურ მდგრადობას და მათ კრიზისული პერიოდების დაძლევაში ეხმარება. აღნიშნული უპირატესობები ყველასათვის თვალსაჩინოა, ამიტომ ისინი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მიზეზები, რომელთა გამოც ტრანსნაციონალური კორპორაციები ასე აქტიურად ვითარდება.

2.2. ტრანსნაციონალური კომპანიების სტრუქტურა და ტიპები

საზღვარგარეთული საწარმოების მართვაში, ტრანსნაციონალური კომპანიები წარმატებას აღწევენ და ერთმანეთს უთავსებენ წარმოების საერთაშორისო ინტეგრაციას და მართვის ლოკალურ მოქნილობას.

ორგანიზაციული სტრუქტურის მიხედვით ტრანსნაციონალური კომპანიები, როგორც წესი, მრავალდარგოვან კონცერნებს წარმოადგენს. სათაო კომპანია კორპორაციის ოპერატიული შტაბია. კოოპერირების ბაზაზე ფართომასშტაბიანი სპეციალიზაციასა და ეკონომიკურ პოლიტიკას ახორციელებს, ტექნიკურ და

საზღვარგარეთული კომპანიებისა და ფილიალების საქმიანობის კონტროლს. უკანასკნელ ხანს ტრანსნაციონალური კორპორაციების სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება, მათგან მთავარი ცვლილებები ეხება ეგრეთწოდებული კომპლექსური სტრატეგიის განხორციელებას (გ. ბაღიშვილი 2013).

ტრანსნაციონალური კორპორაციების სტრატეგია დამყარებულია გლობალურ მიდგომაზე, რომელიც შედეგის ოპტიმიზაციას ითვალისწინებს არა ყოველი ცალკეული რგოლის, არამედ მთლიანად გაერთიანებისთვის. კომპლექსური სტრატეგია მდგომარეობს საერთაშორისო კონცერნის მართვის დეცენტრალიზაციაში და რეგიონული მმართველობითი სტრუქტურების როლის მნიშვნელოვნად ამაღლებაში. ასეთი პოლიტიკა კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის დარგში ტექნიკის მიღწევების, ეროვნული და საერთაშორისო მონაცემთა ბანკების, საყოველთაო კომპიუტერიზაციის წყალობით გახდა შესაძლებელი. ტრანსნაციონალური კორპორაციების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურები პირდაპირ კავშირშია მათ თვისობრივ მახასიათებლებთან. საზღვარგარეთული ფილიალების, წარმომადგენლობებისა და შვილობილი ფირმების ფართო ქსელის მიუხედავად ტრანსნაციონალურ კორპორაციებს ბაზირების კონკრეტული ქვეყანა ანუ სათაო ოფისის იურიდიული რეგისტრაციის ქვეყანა გააჩნიათ.

ეროვნულ კომპანიებში მართვის დეცენტრალიზაციის პროცესების გაძლიერებასთან ერთად ტრანსნაციონალური კორპორაციები ცდილობენ ასევე მართვის ახალი მეთოდების დანერგვას და თავისი საზღვარგარეთული ქვედანაყოფებისთვის იმ ფუნქციების ნაწილის დელეგირებას, რომელიც ადრე უმაღლეს დონეს განეკუთვნებოდა, განსაკუთრებით ოპერატიული მართვის დარგში. დეცენტრალიზებულ ტრანსნაციონალურ კორპორაციებში ძირითად სამეურნეო რგოლად ეგრეთწოდებული მოგების ცენტრები ანუ ის ავტონომიური ქვედანაყოფები იქცევა, რომლებიც საკუთარ ქვედანაყოფში გაწეული ხარჯებისა და პროდუქციის, საქონლისა და მომსახურებისგან მიღებული სარგებლის

დამოუკიდებელ აღრიცხვას აწარმოებენ. რიგ შემთხვევებში ხორციელდება მართვის სტრუქტურის დაყოფა სტრატეგიული სამეურნეო ცენტრების მიხედვით, რომლებშიც ხორციელდება ასევე მოცემული ქვედანაყოფის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვა ბაზრის დინამიკის ანალიზის, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის, მარკეტინგული კვლევების გათვალისწინებით. უმაღლესი რგოლის მხრიდან ფინანსურ–ეკონომიკური მართვის დეცენტრალიზაციამ გამოიწვია კონტროლის შემცირება და საზღვარგარეთული ქვედანაყოფების მანევრირების უნარის ამაღლება გადაწყვეტილებების მიღებისას. მიუხედავად ამისა, მრავალი წლის მანძილზე არსებულმა მართვის ცენტრალიზაციამ გამოიწვია ის, რომ მრავალ ტრანსნაციონალურ კორპორაციას წინანდებურად მკვეთრად გამოხატული მართვის ვერტიკალური სტრუქტურა აქვს მკაცრი იერარქიულობითა და მართვის მაღალი რგოლიდან დაბალი რგოლისათვის უფლებამოსილებების დელეგირებით. ვერტიკალური ინტეგრაცია საშუალებას აძლევს ტრანსნაციონალურ კორპორაციებს მართონ როგორც კომპანიის ძირითადი საქმიანობა, ისე მასთან დაკავშირებული ინტერესთა სფეროებიც, ძირითადად წარმოების ტექნოლოგიურად თანმიმდევრულ სტადიებზე. წარმოების დივერსიფიკაციის აუცილებლობამ, საქმიანობის ახალ სფეროებში დანერგვის აუცილებლობამ გამოიწვია მართვის სტრუქტურის ცვლილება. კომპანიებში წარმატებით ინერგება მართვის მატრიცული სტრუქტურა. ამასთან ტრანსნაციონალური კორპორაციების ნაწილმა მართვის ეს ფორმა ზედმეტად გადატვირთულად ჩათვალა, რამაც უბიძგა მათ ვერტიკალური და ჰორიზონტალური თანადაქვემდებარების უფრო მარტივ ფორმებთან მიბრუნებისაკენ. ტრანსნაციონალური კორპორაციების მართვის თანამედროვე სტრუქტურა უშუალოდ უკავშირდება მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას, პირველ რიგში კი კომპანიის შიგნით ფუნქციების კომპიუტერიზაციას. ელექტრონული ფოსტის, მონაცემთა ელექტრონული გადაცემის გამოყენება, კომპანიაში გლობალური პროცესების მოქნილი და აქტიური მართვის და ამასთანავე ადგილებზე მანევრირებადი ოპერატიული მართვის განხორციელების

საშუალებას იძლევა. ტრანსნაციონალური კორპორაციების მართვის ორგანიზაციული ფორმები იცვლება სამეურნეო საქმიანობის განხორციელების ახალ პირობებთან ადაპტაციის პროცესში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გამოვყოთ ტრანსნაციონალური კორპორაციების შემდეგი ტიპები:

- ჰორიზონტალურად ინტეგრირებული კორპორაციები საწარმოებით, რომლებიც პროდუქციის მეტ ნაწილს თვითონ უშვებენ.
- ვერტიკალურად ინტეგრირებული კორპორაციები, რომლებიც ერთი მესაკუთრის გარშემო და ერთიანი კონტროლის ქვეშ აერთიანებენ საბოლოო პროდუქტის წარმოებისათვის უმთავრეს სფეროებს. კერძოდ, ნავთობის მრეწველობაში ნედლი ნავთობის მოპოვება ხშირად ერთ ქვეყანაში ხდება, რაფინირება – მეორეში, საბოლოო ნავთობპროდუქტების გაყიდვა –კი მესამე ქვეყნებში.
- დივერსიფიცირებული ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომლებიც მოიცავს ეროვნულ საწარმოებს ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაციით.

მართვის რეგიონული სისტემები სამ ძირითად სახეობად იყოფა: მთავარი რეგიონული სამმართველოები, რომლებიც შესაბამის რეგიონში კონცერნის ყველა სახის საქმიანობისთვის არიან პასუხისმგებელი. ისინი აღჭურვილია შესაბამის რეგიონში ყველა ფილიალის საქმიანობის კოორდინაციისა და კონტროლის ყველანაირი უფლებით (მაგალითად, ამერიკული კონცერნის "Generag Motors" მთავარი რეგიონული სამმართველო, რომელიც აზიასა და ოკეანიაში ახორციელებს ფილიალების საქმიანობის კოორდინირებას, სინგაპურშია განლაგებული); რეგიონული საწარმოო სამმართველოები, რომლებიც ახორციელებენ საწარმოების საქმიანობის კოორდინირებას პროდუქტის მოძრაობის ხაზით ანუ შესაბამისი საწარმოო ჯაჭვის მიმართულებით.

2.3. ტრანსნაციონალური კომპანიების განვითარების ფაზები

ამერიკელი სპეიალისტების ჯ. სტოპფორდისა და ლ. უელსის დასკვნების საფუძველზე, რომლებიც შეისწავლიან ფირმების სტრუქტურაში ორგანიზაციულ ცვლილებებს ამერიკული კორპორაციების ზრდისა და მათი ტნკ-ებად ქცევის პროცესში, გამოყოფენ განვითარების სამ ტიპურ ფაზას.

- პირველი ფაზა. ფირმა მცირე ზომისაა, მას ერთი მენეჯერი მართავს. სხვა ძირითადი მმართველობითი საფეხურების არარსებობის გამო მთელი ფირმის საქმიანობის წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ამ მენეჯერის პირად უნარებსა და აქტიურობაზე. მაგრამ ფირმის ზრდასთან ერთად აუცილებელი ხდება პრეზიდენტის მიერ თავისი მმართველობითი ფუნქციების ნაწილის ქვედა რგოლისთვის გადაცემა, რადგან ის მარტო ვეღარ გაუმკლავდება სამუშაოს მზარდ მოცულობას.
- მეორე ფაზა. მეორე ფაზის სტრუქტურა საშუალებას აძლევს ფირმას მნიშვნელოვანი ზრდა უზრუნველყოს პროდუქციის წარმოების გაფართოებისა და მისი შიდა ბაზარზე გასაღების ორგანიზების ხარჯზე. სტრუქტურის განვითარება იწვევს ყოველი ფუნქციური განყოფილების რამდენიმე ქვეგანყოფილებად ან ჯგუფად დაყოფას. თუმცა ახალი სტრუქტურა მართვის რგოლების მატების მიუხედავად არ ცვლის მასში დამკვიდრებულ ფუნქციური პასუხისმგებლობის ძირითად პრინციპს.
- მესამე ფაზა. პროდუქციის ახალი სახეობების გამოშვებისთვის საწარმოო ხაზების დამატება ან ახალ ბაზრებზე გასვლა არღვევს სტრუქტურის არსებულ წონასწორობას. ოპერატიულ ქვედანაყოფებს, რომლებსაც საკმარისი კომპეტენცია არ გააჩნიათ, არ შეუძლიათ გადაწყვეტილებების მიღება მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით და ამისთვის გენერალურ მმართველს მიმართავენ. ეს უკანასკნელი კი იმის გამო, რომ ყველა საკითხს თავად ვერ გაუძღვება, იძულებულია ფირმის მართვის

სტრუქტურის რადიკალური ცვლილებები განახორციელოს, რათა სტრუქტურას ახალი პირობების შესაბამისი სახე მიეცეს.

თავისი ორგანიზაციული სტრუქტურის წყალობით ტნკ-ებმა მყარად მოიკიდს ფეხი მსოფლიო მეურნეობის სიტემაში. ტნკ-ები, რომელთაც უზარმაზარი კაპიტალი აქვთ, აღწევენ არა მხოლოდ პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკურ ცხოვრებაში, რაც ნაწილობრივ განაპირობებს იმას, რომ ეს ქვეყნები ეკონომიკურად ნაწილობრივ (ზოგჯერ კი მთლიანად) დამოკიდებულია კორპორაციების გარკვეულ ჯგუფზე, არამედ პოლიტიკურ ცხოვრებაშიც, მხარს უჭერენ რა ამა თუ იმ პარტიებსა და მოძრაობებს. ტნკ-ების აქტიური ჩარევა საზოგადოებრივ ცხოვრებაში განაპირობებს მათ საქმიანობაში როგორც პოზიტიური ისე ნეგატიური ასპექტების გამოკვეთას.

მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს ტრანსნაციონალური კორპორაციების ფარგლებში საბანკო და საწარმოო კაპიტალის გაერთიანების სარგებლიანობას და ეფექტიანობას, რაც ფინანსური რესურსების ბრუნვადობის დაჩქარების, ტრანსნაციონალური კორპორაციების შიგნით ურთიერთჩათვლისა და გადახდების სისტემათა დანერგვის გზით დანახარჯების შემცირების, ფულად ფორმაში გამოხატული რესურსების წილის და გადანაწილების მობილურობის გაზრდის, მსხვილი გარიგებების, მრავალვალუტიანი ოპერაციების განხორციელების საშუალებას იძლევა. ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმოშობა არა მხოლოდ კანონზომიერი ნაბიჯი იყო საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების სისტემის განვითარებაში, არამედ სამრეწველო სტრუქტურის რეორგანიზაციის აუცილებელი ეტაპიც.

ყველაფერ ამის მიუხედავად არსებობს მოსაზრებები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებს ტრანსნაციონალური კორპორაციების შექმნის მიზანშეწონილობას. მაგრამ „პრაქტიკა - ჭეშმარიტების კრიტერიუმია", პრაქტიკაში კი ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა ერთმნიშვნელოვნად დაამტკიცეს, რომ აქვთ არსებობის უფლება.

2.4. ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტირების პრინციპები და მნიშვნელობა ტრანსნაციონალურ კომპანიებში

თანამედროვე მსოფლიოსა და საზოგადოებაში საწარმოებისა და ორგანიზაციების ფუნქციონირების პირობები გართულებულია. სულ ახალი საწარმოები და ორგანიზაციები ჩნდება, რომელიც უფრო ხისტ ფორმებს იძენს. სამეცნიერო წრეები და პრაქტიკოსები სულ უფრო ხშირად საუბრობენ, რომ გართულებულია ორგანიზაციათა სტრატეგიული გეგმების შემუშავება და რეალიზაცია, რაც თავის მხრივ მოითხოვს ორგანიზაციის მოქნილობის ამაღლებას, საქმიანობის მუდმივად ცვალებად პირობებზე ოპერატიულად რეაგირების უნარს, რაც დამოკიდებულია საწარმოს მართვის სტრუქტურის აწყობასა და მის ფუნქციონირებაზე. ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი საორგანიზაციო სისტემის შერჩევა. მნიშვნელობას იძენს ორგანიზაციისა და ორგანიზაციული მართვის არსის გამოკვლევის, მართვის ისეთი ორგანიზაციული სისტემის პროექტირების საკითხები, რომელიც ორგანიზაციის ეფექტიან მუშაობას უზრუნველყოფს. საორგანიზაციო სისტემა ორგანიზაციის შინაგანად ურთიერთდაკავშირებული ნაწილების გარკვეული ერთობლიობაა, რომელიც მთლიანობას ქმნის თუმცა ორგანიზაციები ცალკეულ ნაწილებად და შემადგენელ ელემენტებად იშლება, ისინი თავად წარმოადგენენ ქვესისტემებს უფრო მსხვილი სისტემების ფარგლებში. ამასთან მთლიანი არ წარმოადგენს ნაწილთა მარტივ ჯამს, ვინაიდან სისტემა უნდა განვიხილოთ, როგორც მათი ერთობლიობა.

ერთ-ერთი საკვანძო ცნებაა მართვის საორგანიზაციო სტრუქტურა, მასში მოიაზრება მართვის რგოლების ერთიანობა, რომლებიც მკაცრი დაქვემდებარების მიხედვითაა განლაგებული და უზრუნველყოფს მმართველ და მართვად სისტემებს შორის ურთიერთკავშირს. მართვის საორგანიზაციო სტრუქტურის შიდა გამოხატულებაა ორგანიზაციის ცალკეული ქვესისტემების შემადგენლობა,

თანაფარდობა, განლაგება და ურთიერთკავშირი. ის პირველ რიგში მიმართულია ორგანიზაციის ცალკეულ ქვედანაყოფებს შორის ნათლად გამოკვეთილი კავშირების დამყარებასა და მათ შორის უფლებამოსილებათა განაწილებაზე.

მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციებში დომინირებს დივიზიონალური მართვის სტრუქტურა. იგი ეფუძნება მსხვილი ავტონომიური საწარმოო-სამეურნეო ქვეგანყოფილებების გამოყოფას, მათთვის შესაბამისი ოპერატიულ-საწარმოო დამოუკიდებლობის მინიჭებას და ამ დონეზე მათზე მოგების მიღების პასუხისმგებლობის გადატანას. ცალკე ქვეგანყოფილების (დივიზიონის) ქვეშ იგულისხმება ორგანიზაციულ სასაქონლო-საბაზრო ერთეული, რომელსაც თავის დაქვემდებარებაში ჰყავს საკუთარი ფუნქციონალური ქვეგანყოფილებები.

ტნკ-ების ფუნქციონალურ ქვეგანყოფილებებზე არის პასუხისმგებლობა პროდუქციის წარმოებასა და პროდუქციის რეალიზაციიდან მოგების მიღებაზე, რის შედეგადაც გამოთავისუფლდება კორპორაციის უმაღლესი ეშელონის მართველობითი პერსონალი სტრატეგიული ამოცანების გადასაწყვეტად. კორპორაციის უმაღლესი მმართველი ორგანო იტოვებს განვითარების მკაცრი საერთო კორპორაციული კონტროლის, მეცნიერულ-კვლევითი შემუშავებების, ფინანსებისა და ინვესტიციების მართვის უფლებას და ა.შ.

აქედან გამომდინარე, ტნკ-ების დივიზიონური სტრუქტურებისათვის დამახასიათებელია მაღალ ეშელონებში განვითარების ცენტრალიზებული სტრატეგიული დაგეგმვისა და რეგიონალურ ქვეგანყოფილებებში დეცენტრალიზებული საქმიანობის კომბინაცია, რომელთა დონეზე ხდება ოპერატიული მართვა და მოგების მიღების უზრუნველყოფა.

რეგიონალურ დივიზიონებზე მოგებაზე პასუხისმგებლობის გადატანის გამო მათ განიხილავენ, როგორც „შემოსავლის ცენტრებს“, რომლებიც აქტიურად იყენებენ მათთვის მინიჭებულ თავისუფლებას სამუშაოების ეფექტიანობის

ამაღლებისათვის. მართვის საწარმოო განყოფილებები (დივიზიონები), როგორც წესი, აგებულია წრფივი-ფუნქციონალური პრინციპის საფუძველზე.

ტრანსნაციონალურ კომპანიებში ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტირების პრინციპების გასაანალიზებლად განვიხილოთ კომპანია Toyota-მართვის სისტემის მაგალითი.

Toyota-მსხვილი იაპონური ავტომობილების მწარმოებელი კომპანია, ასევე იგი სთავაზობს საფინანსო მომსახურებას და გააჩნია რამდენიმე დამატებითი მიმართულება ბიზნესში. მთავარი ოფისი მდებარეობს იაპონიაში აიტის პრეფექტურაში. კომპანიას Fortune Global 500-ის 2017 წლის რეიტინგში უკავია მე-9 ადგილი. იგი წარმატებული კომპანიაა ეს კი უკვე დადასტურებული ფაქტია. განვიხილოთ მოკლედ ამ იაპონური გიგანტის მართვის სიტემა (ЭФКО. 2016).

თავისი საქმიანობის დასაწყისში კომპანია ითვლებოდა, რომ წარმატების საწინდარს წარმოადგენდა ინვესტიცია ადამიანურ კაპიტალში. საწარმოო სისტემის არსი მდგომარეობს კორპორაციულ კულტურაში - იმაში, თუ როგორ აზროვნებენ და იქცევიან ადამიანები და ეს ღრმად არის ჩადებული კომპანიის ფილოსოფიასა და პრინციპებში. ყურადღების ცენტრშია - ადამიანების პატივისცემა და მათი სამუშაო პირობების განუწყვეტელი გაუმჯობესება.

როდესაც კომპანია ახორციელებს წარმოების ორგანიზებას ახალ ქვეყანაში, იგი დაწვრილებით სწავლობს ადგილობრივ პირობებს და ახდენს მასთან თავისი კორპორაციული კულტურის ადაპტირებას. მაგალითად, Toyota-ს ქარხანაში ჯორჯტაუნში (აშშ), ადგილობრივ პირობებთან ადაპტაციას კომპანიამ მონდომა თხუთმეტი წელიწადი.

თავისი არსებობის დიდი დროის განმავლობაში, კომპანია მუშაობდა იაპონიის ტერიტორიაზე და არ ახდენდა თავისი მუშაობის მეთოდების დოკუმენტალურად წერითი ფორმით დაფიქსირებას. მაგრამ კომპანიის ზრდის კვალობაზე საჭირო გახდა ორგანიზაციის მართვის მეთოდების გავრცელება სხვა

საწარმოებზეც, რომლებიც განთავსებულნი იყვნენ მსოფლიოს სხვადსხვა რეგიონში. საჭირო გახდა Toyota-ს მართვის სისტემის წერილობითი აღწერა.

ამ დოკუმენტის შექმნას დასჭირდა ათი წელი და მას უწოდეს „Toyota-ს ფილოსოფია 2001“. მას შემდეგ სისტემა აგრძელებს განვითარებას. ეს დოკუმენტი შედგება 13 გვერდისაგან და შეიცავს ნახაზზე წარმოდგენილ პრინციპებს.

ამ ფუნდამენტალური პრინციპებიდან თითოეული შეიცავს დეტალიზირებულ კონცეფციებს, მაგალითად, „კეიდზენის“ პრინციპის ქვეშ იგულისხმება სამი ქვეკატეგორია, ესენია: განუწყვეტელი გაუმჯობესებისა და ინოვაციური აზროვნების სურვილი, რესურს „დამზოგავი“ სისტემებისა და სტრუქტურების აგება და ცოდნის ამაღლების სტიმულირება. (იხ. ნახაზი 2.1).



ნახაზი 2.1. Toyota-ს ფილოსოფია 2001

ნახაზზე მოყვანილ ბლოკ-სქემაზე მოყვანილ პრინციპებს Toyota შემდეგნაირად განმარტავს:

- გამოწვევა. კომპანია თავისი ხედვის ფორმირებას ახდენს ხანგრძლივი დროის პერიოდისათვის, თამამად და შემოქმედებითად წყვეტს პრობლემებს, რათა რეალიზაცია გაუკეთოს თავის ოცნებას.
- კეიდზენი. კომპანია ახდენს ოპერაციული პროცესების განუწყვეტელ დახვეწას, განუწყვეტლივ მიისწრაფვის ინოვაციებისა და განვითარებისაკენ.
- გეიტი გენბუცუ. კომპანია თვლის, რომ პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში პირადად უნდა შეისწავლოს მათი წარმოშობა და გააკეთოს ეს მაქსიმალურად სწრაფად.
- პატივისცემა. კომპანია პატივს ცემს სხვებს, ახდენს აუცილებელ ძალისხმევას, რათა გაუგონ ერთმანეთს, იღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას და აგებს ურთიერთგაგების სისტემას.
- გუნდური მუშაობა. კომპანია ახდენს პიროვნული და პროფესიული ზრდის სტიმულირებას, ერთობლივად იყენებს განვითარების არსებულ შესაძლებლობებს და ახდენს ინდივიდუალური და კოლექტიური შედეგების მაქსიმიზაციას.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქვეკატეგორია „რესურს „დამზოგავი“ სისტემებისა და სტრუქტურების აგება“ იმყოფება კომპანიის მოდელის მაღლიდან მესამე დონეზე და არ წარმოადგენს ცენტრალურ შემადგენელს. Toyota დარწმუნებულია, რომ კომპანიის ყველა განყოფილებაში ძლიერი კორპორაციული კულტურის გარეშე, მსოფლიოს სხვადსხვა ქვეყანაში იგი დაკარგავს თავის კონკურენტულ უპირატესობას.

Toyota-ს ორგანიზაციული სტრუქტურა. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ბიზნესის მართვის პროცესის ოპტიმიზაციისათვის და სტრატეგიული კონცეპციის „Toyota-ს გლობალური ხედვა“, რომლის შესახებაც გამოცხადებული იყო მსოფლიოში 2011 წელს. კომპანიამ განახორციელა თავისი

ორგანიზაციული სტრუქტურის და კორპორაციული მართვის სისტემის რესტრუქტურიზაცია.

ცვლილებები გამიზნული იყო კომპანიის კონკურენტული უპირატესობების გაძლიერებაზე და ხელი უნდა შეეწყო, გლობალურ დონეზე, სტაბილური ზრდის სტრატეგიის რეალიზაციისათვის. ახალი ორგანიზაციული და მმართველობითი სტრუქტურები შემოთავაზებულ იქნა ბიზნესის წარმართვისა და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმების ხანგრძლივი ანალიზის შედეგად.

კორპორაციის საავტომობილო ბიზნესის გადაწყვეტილებების სწრაფი მიღებისა და პასუხისმგებლობის დონეების უფრო მკაფიო განაწილებისათვის 2013 წლის 1 აპრილიდან კორპორაცია დაყოფილია 4 ძირითად სტრუქტურულ ქვეგანყოფილებად, რომელთაგან ყოველი ავტონომიურად განსაზღვრავს მისთვის შესაფერის ბიზნეს-მოდელს, კომპანიის მდგრადი განვითარების მიღწევისათვის გლობალურ დონეზე (იხ. ნახაზი 2.2)



ნახაზი 2.2. კომპანია Toyota-ს ორგანიზაციული სტრუქტურა

საქმე გვაქვს შემდეგ ბიზნეს-ერთეულებთან:

- Lexus International (აერთიანებს ბრენდ Lexus-ის ყველა ოპერაციას მთელი მსოფლიოს მასშტაბით).

- Toyota N1 (აერთიანებს ბრენდ Toyota-ს ყველა ოპერაციას სამხრეთ ამერიკაში, ევროპაში და იაპონიაში).
- Toyota N2 (პასუხს აგებს ბრენდ Toyota-ს ყველა ოპერაციაზე ჩინეთში, აზიასა და ახლო აღმოსავლეთში, აღმოსავლეთ აზიასა და ოკეანეთში, აფრიკაში, ლათინურ ამერიკასა და კარიბის ზღვის ბასეინის ქვეყნებში).
- კომპონენტები (ძრავების, ტრანსმისიების შემუშავება და წარმოება და ასევე ოპერაციები ავტო კომპლექტაციისა და სათადარიგო ნაწილების ბაზარზე).

განვითარებად ბაზრებზე პროდუქციის ხარისხისა და კლიენტების მომსახურების დონის გასაუმჯობესებლად რეგიონალური ქვეგანყოფილების „აზია, ოკეანია და ახლო აღმოსავლეთი და „აფრიკა და ლათინური ამერიკა“ განხორციელდა რეორგანიზაცია, რის შედეგადაც შეიქმნა შემდეგი რეგიონალური ბიზნეს-ერთეულები:

- აღმოსავლეთ აზია და ოკეანია;
- აზია და ახლო აღმოსავლეთი;
- აფრიკა;
- ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის ქვეყნები.

ამრიგად, Toyota Motor Corporation-ის რეგიონალური ქვეგანყოფილებების რაოდენობა ახალი ქვეგანყოფილებების ჩათვლით გაიზარდა 6-დან 8-მდე. ამასთან, კორპორაციული სისტემის გლობალიზაციის მიზნით რეგიონალურ ქვეგანყოფილებებს „სამხრეთ ამერიკა“, „აფრიკა“ და „ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის ქვეყნები“ ხელმძღვანელობენ არა იაპონელი აღმასრულებელი დირექტორები. აღნიშნული პრაქტიკა უკვე გამოიყენებოდა კომპანიის ბიზნესის ევროპული ნაწილის მართვაში, სადაც „Toyota Motor Evropa”-ს აღმასრულებელი დირექტორი არის დიდიე ლერუა.

კოპანია Toyota-ს წარმატების მაჩვენებლების ანალიზისას გვიჩნდება შეგრძნება, რომ უკვე არაფერს არ შეუძლია კომპანიის პოზიციების შერყევა.

თავი 3. ტრანსნაციონალური კომპანიები, როგორც მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის ფაქტორი და მისი როლი საქართველოს ეკონომიკაში

3.1. ტრანსნაციონალური კომპანიების როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაში

მსოფლიო მეურნეობის, საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, სამუშაო ძალის და ცოდნის, ერთიან ბაზრად გადაქცევის პროცესი წარმოადგენს გლობალიზაციას. ეს არის ინტერნაციონალიზაციის უფრო მაღალი სტადია, მისი შემდგომი განვითარება. როდესაც მსოფლიო იყო ერთიანი ბაზარი მცირე

რაოდენობის კომპანიებისათვის ადგილი ჰქონდა ინტერნაციონალიზაციას. ხოლო როდესაც ერთიანი ხდება მსოფლიო ბაზარი ათობით ათასი ტრანსნაციონალური კომპანიისათვის და ამასთან ყველა მისი რეგიონი გახსნილია ამ ბაზრისათვის, ადგილი აქვს ახალ მოვლენას გლობალიზაციას.

ტნკ წარმოადგენენ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვანი საკვანძო პროცესების მამოძრავებელ ძალას. ისინი განსაზღვრავენ საქონლისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის დონეს მსოფლიო ბაზარზე, აკონტროლებენ საერთაშორისო კაპიტალისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოძრაობას. თავისი საწარმოო და საფინანსო შესაძლებლობების წყალობით, თავის ხელში თავს უყრიან მეცნიერებადტევად წარმოებას, რითაც ხელს უწყობენ წარმოების ტექნოლოგიურ განვითარებას.

ტნკ-ების მნიშვნელობა საერთაშორისო წარმოებაში, ვაჭრობაში, ფინანსებში და ყველა სხვა დარგში განუხრელად იზრდება. მსოფლიო მეურნეობრივი სისტემის ბირთვს შეადგენს 100-მდე ტნკ, რომლებმაც თავის ხელში მოუყარა პრაქტიკულად განუსაზღვრელ ეკონომიკურ ძალაუფლებას და მათ განკარგულებაშია უცხოური კაპიტალური დაბანდებების მესამედი (Е.О. Беспалова, Е.А. Воронина 2017).

ტრანსნაციონალური კომპანიების რილი მსოფლიო ეკონომიკაში ფასდება შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

- ტნკ-ები აკონტროლებენ მსოფლიო ვაჭრობის 2/3, ამასთან ამ ვაჭრობის 40% ხორციელდება თვით ტნკ-ების შიგნით, ე.ი. ეს ვაჭრობის ეს ნაწილი ხორციელდება არასაბაზრო ფასში, არამედ ე.წ. სატრანსფერო ფასებში, რომელთა ფორმირება ხდება არა ბაზრის ზეწოლით, არამედ სათაო კომპანიის ხანგრძლივვადიანი პოლიტიკის ზეგავლენით.
- მათზე მოდის მსოფლიო სამრეწველო წარმოების დაახლოებით ნახევარი.

- ტნკ-ების საწარმოებში მუშაობს არასასოფლო-სამეურნეო საწარმოებში დასაქმებულთა 10% (მათგან დაახლოებით 60% მუშაობს დედა კომპანიაში, ხოლო 40%-კი შვილობილ კომპანიებში).

- ტნკ-ები აკონტროლებენ მსოფლიოში არსებული პატენტების, ლიცენზიების და ნოუ-ჰაუს დაახლოებით 4/5 (დიდია მათი წილი მსოფლიო სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო შემუშავებებში).

თითქმის ყველა უმსხვილესი ტნკ კუთვნილების მიხედვით ეკუთვნის ტრიადას - აშშ, ევროკავშირის ქვეყნები, იაპონია ჩინეთი. ბოლო წლებში, მსოფლიო ბაზარზე, აქტიურად ავითარებენ თავის ეკონომიკურ საქმიანობას ტრანსნაციონალური კომპანიები ახალი ინდუსტრიული ქვეყნებიდან. დიაგრამა 3.1 ზე მოცემულია ტრანსნაციონალური კორპორაციების რაოდენობები ძირითადი ქვეყნების მიხედვით.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2017 წლისათვის მსოფლიოში უმსხვილეს ტრანსნაციონალურ კომპანიებს შორის, „Forbes Global 2000“ -ის მონაცემებზე დაყრდნობით მსოფლიოს 2000 უმსხვილეს კომპანიათა შორის 587 აშშ-ის ტრანსნაციონალური კომპანია იყო, მეორე ადგილზე იაპონიის ტრანსნაციონალური კომპანიები გავიდნენ 219 კომპანია, ხოლო მესამე ადგილზეა ჩინეთი 200 ტრანსნაციონალური კომპანიით.



დიაგრამა აგებულია „Forbes Global 2000“ -ის მონაცემებზე დაყრდნობით

დიაგრამა 3.1. უმსხვილესი ტნკ-ების განაწილება ქვეყნების მიხედვით 2017 წელს

ბოლო ერთი წლის განმავლობაში მოხდა უმნიშვნელო ცვლილებები. მსოფლიო ეკონომიკაში კრიზისისა და ამერიკული დოლარის გამყარების გამო უმსხვილესი ტნკ-ების მოგება გაჩერდა 4 ტრილიონ დოლარზე წლის განმავლობაში. კრიზისი მსოფლიო ეკონომიკაში ნეგატიურად აისახა მსხვილ კორპორაციებზე. პრაქტიკულად ყველა მაჩვენებელი დავარდა წინა 2016 წელთან შედარებით, საერთო ვარდნამ შეადგინა 8% წლის განმავლობაში.

სიის საბოლოო ვარიანტის ფორმირებაში თავისი როლი შეიტანეს კომპანიების ნაწილმა თავისი აქტიური საქმიანობით. მაგალითად კომპანიების Kraft და Heinz გაერთიანებამ, საშუალება მისცა, ახლად შექმნილ გაერთიანებას აწეულიყო 100 პოზიციით მაღლა, ხოლო სადაზღვევო კომპანიამ ACE-მ, მას შემდეგ რაც შთანთქა Chubb- რეიტინგში აიწია 200 პოზიციით მაღლა. ერთადერთი ტექნოლოგიური კომპანია, რომელიც მოხვდა უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციების რეიტინგის ტოპ ათეულში იყო Apple. კაპიტალიზაციის

სერიოზული შემცირების მიუხედავად (მინუს 150 მილიარდი დოლარი წლის განმავლობაში), კომპანიას ჯერ კიდევ გააჩნია დიდი შემოსავალი და სუფთა მოგება (შესაბამისად 230 და 50 მილიარდი დოლარი). ამის გამო კომპანია რჩება მსოფლიოში ერთ-ერთ ძვირ ბრენდად და ინარჩუნებს რეიტინგში მერვე პოზიციას (Forbes Global 2000. 2018).



დიაგრამა აგებულია The retreat of the global company **-ის მონაცემებზე დაყრდნობით**

დიაგრამა 3.2. ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობის ძირითადი დარგები

ტნკ-ების საქმიანობის ეფექტიანობის ამსახველ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო დონეზე წარმოება. მსოფლიოს 500 წამყვან ტნკ-ებს შორის მთავარ როლს თამაშობს ოთხი კომპლექსი, ესენია; ელექტრონიკა, ნავთობპროდუქტების გადამუშავება, ქიმიური მრეწველობა და ავტომობილების წარმოება. (იხ. დიაგრამა 3.2). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტნკ-ები ხელს უწყობენ მრეწველობის და ეკონომიკის განვითარებას განვითარებად ქვეყნებში, ცვლიან მათში ეროვნული მეურნეობის სტრუქტურას და ამით ხელს უწყობენ ამ ქვეყნების მონაწილეობას საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში, და ეს ყველაფერი ხდება იმის მიუხედავად, რომ ტნკ-ების საქმიანობის მიზანს არ წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკების დახმარება.

იმისათვის, რომ ნათლად გამოჩნდეს ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაში, მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ ლიდერობის ცვლილების დინამიკა შტაბბინების რიცხვის აგლომერაციის მიხედვით (განხილულია პირველი ათეული), უმსხვილესი ტრანსნაციონალური კომპანიების მონაცემების მიხედვით, ანალიზისას გამოყენებულია UK Economic Outlook 2014 და The Fortune Global 500, 2017-ის მონაცემები (იხ ცხრილი 3.1).

ცხრილი 3.1.

ქალაქი ლიდერები ტნკ-ების შტაბ-ბინების რიცხვის მიხედვით, 1995-2017

	წლები							
	1995		2005		2012		2017	
	აგლომერაცია	შტაბ-ბინ. რაოდ	აგლომერაცია	შტაბ-ბინ. რაოდ	აგლომერაცია	შტაბ-ბინ. რაოდ	აგლომერაცია	შტაბ-ბინ. რაოდ
1.	ტოკიო	93	ტოკიო	56	პეკინი	47	პეკინი	57
2.	ოსაკა	32	პარიზი	27	ტოკიო	46	ტოკიო	38
3.	პარიზი	27	ლონდონი	23	პარიზი	29	პარიზი	17
4.	ლონდონი	26	ნიუ-იორკი	22	ნიუ-იორკი	23	ნიუ-იორკი	17
5.	ნიუ-იორკი	22	პეკინი	12	ლონდონი	21	ლონდონი	17
6.	სეული	11	სეული	9	სეული	13	სეული	10
7.	მიუნჰენი	9	ოსაკა	9	ჩიკაგო	9	შანჰაი	10
8.	ფრანკფურტი	7	მიუნხენი	7	ოსაკა	8	ჰიუსტონი	7
9.	ატლანტა	7	ტორონტო	7	შანჰაი	8	ოსაკა	7
10.	ციურიხი	7	ატლანტა	7	ჰიუსტონი	7	ჰონკონგი	7
სხვა აგლომერაცი.		259	სხვა აგლომერა.	321	სხვა აგლომერა.	289	სხვა აგლომერა.	313
სულ		500	სულ	500	სულ	500	სულ	500

როგორც ცხრილიდან ჩანს პირველი 10 აგლომერაციის პოზიციები მათში ბაზირებული ტრანსნაციონალური კორპორაციების დედა კომპანიების რაოდენობის მიხედნით შეიცვალა. საანალიზო პერიოდის განმავლობაში

დასაწყისში ლიდერობდა ტოკიო, მასში განთავსებული იყო 19%, 500 უმსხვილესი ტნკ-ების შტაბ-ბინები. მაგრამ იმის მიუხედავად, რომ ტოკიომ 2005 წელსაც დაიკავა პირველი ადგილი რეიტინგში, დედა კომპანიების რაოდენობა შემცირდა 40%-ით და შეადგინა 56 შტაბ-ბინა, ხოლო 2017 წელს კი უკვე შემცირდა 38-მდე. დაწყებული 2012 წლიდან დღემდე ამ რეიტინგში ლიდერობს პეკინი. 2017 წელს მასზე მოდიოდა უკვე 57 შტაბ-ბინა, ხოლო ტოკიო 38-ი შტაბ-ბინით გადავიდა მეორე ადგილზე.

ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში ისეთმა აგლომერაციებმა, როგორებიცაა: ფრანკფურტი, მიუნხენი, ატლანტა და ციურიხი დაკარგეს თავისი პოზიციები და დატოვეს ლიდერების ათეული. მათი ადგილი დაიკავეს: ჩიკაგომ, ოსაკამ, შანჰაიმ, ჰიუსტონმა, ჰონკონგმა. ტნკ-ების უმეტესობის შტაბ-ბინები წარმოადგენენ გლობალურ ქალაქებს. ისინი დიდი ხანია ითვლებიან პოსტინდუსტრიულებად. ლონდონში, პარიზსა და ნიუ-იორკში მათი ინდუსტრიის წილი, როგორც მშპ-ში, ისე მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურაში იმყოფება 6-7%-ის ფარგლებში, იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე ათეული წლის უკან იგი შეადგენდა აღნიშნული მონაცემის 1/3-ზე ნაკლებს. (А. В. Костылева, Л. В. Бычкова. 2017).

უცხოურმა ბიზნესმა შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი საქართველოს საკომუნიკაციო, სავაჭრო ქსელების, საფინანსო და საბანკო სექტორის განვითარებაში, ხოლო ბოლო წლებში დასავლეთევროპული და ამერიკული კონცერნები ეხმარებიან ქართულ ბიზნეს საამშენებლო და გადამამუშავებელი მრეწველობის ტრანსფორმირებაში. ტნკ-ებს საკვანძო როლი მიუძღვით ქვეყნის ფარმაცევტული და კვების დარგების განვითარებაში. ყოველწლიურად იზრდება მსხვილი ტნკ-ების შვილობილი სტრუქტურების მნიშვნელობა საბანკო ბიზნესსა და ელექტროენერგეტიკაში.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციას, ტნკ-ების ქვეყანაში დაარსებას ან შიდა ბაზარზე შემოსვლას და მათი რიცხვის ზრდას დადებითი მხარეების გარდა აქვს რიგი უარყოფითი თვისებები ისეთები, როგორებიცაა:

- ბაზრის მონოპოლიზაცია - კორპორაციები იძენენ უფრო მცირე ზომის კონკურენტებს, ან ანადგურებენ მათ დემპინგური ფასების საშუალებით, ხოლო შემდეგ ახორციელებენ ფასების ზრდას და იღებენ ზემოგებას;
- პატარა სახელმწიფოებს ექმნებათ თავიანთი სუვერენიტეტის საფრთხე - ფლობენ რა დიდ ფინანსურ სიმძლავრეს და გავლენიან პოლიტიკურ მხარდაჭერას, უმსხვილეს ტრანსნაციონალურ კორპორაციებს შეუძლიათ უკარნახონ თავიანთი პირობები არა მხოლოდ კონკურენტებს, არამედ მთელ სახელმწიფოებს;
- ეკოლოგიის საფრთხე - სახელმწიფოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ზეწოლის შედეგად, რომლებსაც შემოაქვთ სულ უფრო მკაცრი ეკოლოგიური ნორმები და ზრდიან გადასახადებს გარემოს ეკოლოგიური დაბინძურებისათვის, ტრანსნაციონალურ კორპორაციებს თავისი „ჭუჭყიანი“ წარმოებები გადააქვთ განვითარებად ქვეყნებში.

ამიტომაც, საქართველოს, როგორც განვითარებად ქვეყანას მართებს დიდი ძალისხმევა მსხვილი საერთაშორისო კორპორაციების ქვეყანაში შემოსვლისა და დამკვიდრების პროცესში.

3.2. კვლევა: ტრანსნაციონალური კომპანიების როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, სულ უფრო აქტუალური ხდება ტრანსნაციონალური კომპანიების შემოსვლა ნაციონალურ ბაზარზე. რასაც აქვს, როგორც ბევრი დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა, რათა გაგვეგო მოსახლეობის აზრი თუ რამდენად არიან ისინი მზად ტრანსნაციონალური კომპანიების საქართველოში შემოსვლისათვის და მათი აზრით რა როლი მიუძღვის მათ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

კვლევის დროს გამოყენებული იქნა, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მეთოდები. ძირითადი ინსტრუმენტი იყო ინტერნეტის, კერძოდ კი google drive-ის საშველებით, რესპოდენტთა გამოკითხვა. კვლევის ობიექტად შერჩეულ იქნა საქართველოს სრულწლოვანი მოსახლეობა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 62 რესპოდენტმა. კვლევაში ჩართულ პირთა სქესობრივი ბალანსი თითქმის თანაბარი აღმოჩნდა. გამოკითხვისას აქტიურობდა 18-დან 30-წლამდე პირები, თუმცა აღსანიშნავია რომ სხვა ასაკობრივი ჯგუფებიც ჩართული იყვნენ კვლევისას, მაგალითად 60 წელს გადაცილებული რესპოდენტები.

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, რამდენადაა მიზანშეწონილი საქართველოში ტრანსნაციონალური კორპორაციების შემოსვლა, ის თუ რა უარყოფითი გავლენა ექნებოდა მას საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენებისათვის.



დიაგრამა 3.3. როგორ შეაფასებდით ტრანსნაციონალური კომპანიების მუშაობას საქართველოში 5 ქულიანი სისტემით?

კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ საქართველოში ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობას, ხუთ ქულიანი სისტემით, მაქსიმალური შეფასება მისცა რესპოდენტთა 57%, 26%-მა მათი საქმიანობა შეაფასეს 4 -ქულით, ხოლო დანარჩენმა რესპოდენტებმა კი 3 ქულით (17%). რაც მეტყველებს იმაზე, რომ

მოსახლეობა ძირითადად დადებითად აფასებს ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობას საქართველოში (იხ. დიაგრამა 3.3).

აღნიშნული კითხვის გაგრძელება იყო საკითხი, თუ რა სარგებელს მოუტანს ტრანსნაციონალური კომპანიების შემოსვლა საქართველოს მოსახლეობას?



დიაგრამა 3.4. თქვენი აზრით რა სარგებელს მოუტანს ტრანსნაციონალური კომპანიების შემოსვლა საქართველოს მოსახლეობას?

როგორც დიაგრამა 3.4.-დან ჩანს გამოკითხულ რესპოდენტთა 54% ფიქრობს, რომ ტრანსნაციონალური კომპანიების შემოსვლა გაზრდის სამუშაო ადგილებს, 32%- კი ფიქრობს, რომ გაუმჯობესდება სოციალური ფონი, 9%-ის აზრით ამაღლდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტემპი, მხოლოდ 5%-ის აზრით დაიკლებს სამომხმარებლო ფასები.

ტრანსნაციონალური კომპანიების საქართველოში შემოსვლას დადებითი მხარეების გარდა გააჩნია უარყოფითი მხარეებიც. თუ რა უარყოფითი გავლენა ექნება ტრანსნაციონალური კომპანიების შემოსვლას საქართველოში, რესპოდენტთა 47%-მა გამოთქვა აზრი, რომ დაკნინდება ქვეყნის თვითმყოფადობა, 35%-ის აზრით კი ქართულ კომპანიებს გაუჭირდებათ მათთვის

კონკურენციის გაწევა, ხოლო 18%-მა განაცხადა, რომ ქვეყნიდან გავა დიდი რაოდენობით უცხოური ვალუტა (იხ. დიაგრამა 3.5).



დანართი 3.5. თქვენი აზრით რა უარყოფითი გავლენა ექნება ტრანსნაციონალური კომპანიების შემოსვლას საქართველოში?

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში მეტად მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის რომელი უფრო მნიშვნელოვანია ტრანსნაციონალური კომპანიების შემოსვლა, თუ ადგილობრივი კომპანიების გააქტიურების ხელშეწყობა. გამოკითხულ რესპოდენტთა უდიდესმა ნაწილმა 89%-მა, განაცხადა, რომ მათი აზრით ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის სასარგებლო და მნიშვნელოვანი იქნებოდა როგორც ტრანსნაციონალური კომპანიების შემოსვლა, ასევე ადგილობრივი მწარმოებლების გააქტიურება, მათი თანაარსებობა. რესპოდენტთა 6%-მა გამოთქვა აზრი, რომ ქართული ეკონომიკისათვის უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა ტრანსნაციონალური კომპანიების შემოსვლა, ხოლო 5%-მა კი ადგილობრივი კომპანიების გააქტიურება (იხ. დიაგრამა 3.6).



დანართი 3.6. თქვენი აზრით ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის, რომელი უფრო სასარგებლოდ მიგაჩნიათ ტრანსნაციონალური კომპანიების შემოსვლა, თუ ადგილობრივი კომპანიების გააქტიურება?

მნიშვნელოვანი იყო პასუხი კითხვაზე, თუ როგორ უნდა გაუწიონ ქვეყნის ადგილობრივმა კომპანიებმა კონკურენცია შემოსულ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს (იხ. დიაგრამა 3.7.).



დიაგრამა 3.7. თქვენი აზრით, როგორ უნდა გაუწიონ ქვეყნის ადგილობრივმა კომპანიებმა კონკურენცია შემოსულ ტრანსნაციონალურ კომპანიებს?

როგორც დიაგრამიდან ჩანს რესპოდენტთა 44%-მა ჩათვალა, რომ შემოსულ ტრანსნაციონალურ კომპანიებისათვის კონკურენციის გაწევისათვის საჭიროა მაღალხარისხიანი ადგილობრივი პროდუქციის წარმოება. 39%-მა კი გამოთქვა აზრი, რომ ადგილობრივი მწარმოებლები კონკურენციას მაშინ გაუწევენ ტრანსნაციონალური კომპანიების გამოშვებულ პროდუქციას, როდესაც გამოუშვებენ განსხვავებული ნიშანთვისებების მქონე პროდუქტს. რესპოდენტთა 11%-ი თვლის, რომ კონკურენციის გაწევა შესაძლებელია დაბალი დანახარჯებით და შესაბამისად დაბალი ფასებით, ხოლო 6%-ის აზრით კი საჭიროა, რომ მოსახლეობა მხარში დაუდგეს ქართულ კომპანიებს და შეისყიდონ მხოლოდ მათ მიერ წარმოებული პროდუქცია.

ჩატარებული კვლევის ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოში არსებული ტრნ-ების მუშაობა გამოკითხულ რესპოდენტთა 83%-მა დადებითად შეაფასა, ხოლო მათი შემოსვლის დადებით მხარეთ რესპოდენტთა 54% მიიჩნია სამუშაო ადგილების შექმნა და სოციალური ფონის გაუმჯობესება (32%). უარყოფითი მხარეებიდან რესპოდენტების აზრით მნიშვნელოვანია ის, რომ დაკნინდება ქართული თვითმყოფადობა (რესპოდენტების 47%) და ქართული კომპანიები კონკურენციას ვერ გაუწევენ ტნკ-ებს (35%). ხოლო იმ საკითხის განხილვისას თუ რა უფრო მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის გამოკითხულ რესპოდენტთა 89% ჩათვალა, რომ აუცილებელია, როგორც ტნკ-ები ასევე ქართული კომპანიების თანაარსებობა და იმისათვის, რომ კონკურენცია გაუწიონ ტნჯ-ებს ქართულმა კომპანიებმა უნდა გამოუშვან მაღალხარისხოვანი (რესპოდენტთა 44%) და განსხვავებული ნიშან თვისებების პროდუქცია (რესპოდენტთა 39%).

ამრიგად, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რესპოდენტთა დიდი უმრავლესობა დადებითად უყურებს ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობას საქართველოში, ამასთან მათ მიაჩნიათ, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელია ადგილობრივი კომპანიებისა და ტნკ-ების თანაარსებობა, ამისათვის კი საჭიროა,

რომ ქართულმა კომპანიებმა გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი და გამოუშვან განსხვავებული ნიშან თვისებების პროდუქცია.

3.3. ტრანსნაციონალური კომპანიების ზეგავლენა გარდამავალ ეკონომიკებზე და საქართველოს პერსპექტივები

ტრანსნაციონალური კომპანიების გავლენა ძალიან მნიშვნელოვანია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებზე, ასეთ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება საქართველო. ქართულ ბაზარზე მოქმედი რამდენიმე მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიაა, რომლებიც აქტიურად საქმიანობენ სხვადასხვა დარგებში. ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობის ზეგავლენა, შეიძლება დაიყოს. ზოგადად ისინი შეიძლება დაიყოს:

- ოპტიმისტური;
- პესიმისტური;
- სკეპტიკური შეხედულებები.

ოპტიმისტური მოსაზრებები უკავშირდება მოდერნიზაციის თეორიას. ტნკ-ები არიან მიმწოდებელნი იმ სახსრებისა, რომელსაც შეუძლია კაპიტალის ნაკლებობის შევსება, რაც განვითარების ერთ-ერთი ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორია. გარდა ამისა, ეკონომიკის მოდერნიზაციის ხელშეწყობით ისინი სტიმულს აძლევენ მწარმოებლურობისა და ეფექტიანობის ამაღლებას. მოდერნიზაციის პროცესს შეიძლება ახლდეს უთანასწორობა, მაგრამ ეს გამოწვეულია არა თავისთავად ტნკ-ების საქმიანობით, არამედ არის ამგვარი გარდამავალი პროცესის თანმხლები. პესიმისტური შეხედულება აქცენტს აკეთებს ტნკ-ებისა და მიმღები ქვეყნების ინტერესთა სხვადასხვაობაზე. მოგების ძიების პროცესში ტნკ-ები ესწრაფვიან კაპიტალის აკუმულირებას, ხოლო მიმღები ქვეყნები ცდილობენ არ ჩამორჩნენ განვითარების პროცესს. ტნკ-ები არა მარტო ბიზნესით არიან დაკავებულნი, არამედ ერთვებიან მიმღები ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში და ზეწოლას ახდენენ მთავრობებზე, რათა უზრუნველყონ საკუთარი ბიზნეს-ინტერესებისათვის

მაქსიმალურად სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღება. ამ შეხედულების მომხრეთა მიხედვით ტნკ-ებს ამ მხრივ მეტი ძალაუფლება აქვთ განვითარებად ქვეყნებში, რისთვისაც ამ ქვეყნების უცხოურ კაპიტალზე დამოკიდებულებას და საკუთარ ეკონომიკურ დომინანტობას იყენებენ.

ტნკ-ები მიზნად ისახავენ ბაზრების გეოგრაფიული გაფართოების შემდეგ გააძლიერონ უკვე არსებული პოზიცია იმ საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლებით, რომელთა წარმოებასაც ეფუძნებოდა მოცემულ ქვეყანასა და რეგიონში საქმიანობა. ამ შემთხვევაში კომპანიები იყენებენ სტანდარტიზებულ ტექნოლოგიებსა და ხერხებს, რომელთა მეშვეობით ხდება არსებული საწარმოო პროცესების დანერგვა განლაგების ახალ ადგილას დაბალი დანახარჯებით. გარდამავალ ქვეყნებში ტნკ-ების სტრატეგიული პოზიციონირება ხდება სიმწიფის სტადიაზე მყოფი, სტანდარტიზებული ტექნოლოგიების გამოყენებით და ადგილობრივი მიმღები ბაზრისთვის უკვე წარმატებული საქონლის მიწოდებით. გარდამავალ ქვეყნებში მოქმედი შვილობილი კომპანიები ახორციელებენ ექსპორტს რეგიონის სხვა ნაწილებში, ასევე, ტნკ-ის ტრადიციულ ბაზრებზე. მათი საბოლოო მიზანი კი არის საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი კომპანიების მოზიდვა.

საერთაშორისო ეკონომიკის მკვლევართა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ ცოდნისა და კაპიტალის დაგროვება ცვლის ეკონომიკის სტრუქტურას და, ასევე, მის კონკურენტულ პოზიციას. ინვესტიციების შედინება მაღალია განვითარების ფაქტორულ ფაზაში, რადგან ინვესტორები ეძებენ იაფ ნედლეულსა და იაფ სამუშაო ძალას ბაზირების ქვეყანასთან შედარებით. ინვესტიციურ ფაზაზე გადასვლას ახლავს ინვესტიციების გადინება იმ ეკონომიკებში, სადაც შრომა ინტენსიურ დარგებში დაბალია ხელფასის განაკვეთი და არსებობენ ნედლეულზე კონცენტრირებული დარგები. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი არის მიმღები ქვეყნის ინსტიტუციური ინფრასტრუქტურა და ადამიანისეული და ეკონომიკური რესურსებით. უმნიშვნელოვანესი დადებითი ეფექტი, რომელიც უნდა მოჰყვეს ტნკ-

ების საქმიანობას გარდამავალ ქვეყნებში, არის მათი წვლილი ეკონომიკური ზრდის ამაღლებაში.

საქართველოს ბაზრის მოცულობა ძალიან მცირეა და მოთხოვნა ძირითადად კმაყოფილდება იმპორტის ხარჯზე. ამდენად, ბაზრის ზომაზე ორიენტირებული ინვესტორებისათვის საქართველოს მიმზიდველობის ხარისხი არც ისე მაღალია. ამის მიუხედავად, იზრდება უცხოური კომპანიების დაინტერესება საქართველოთი, რადგან თავისი ადგილმდებარეობით ქვეყანა არის ერთგვარი ხიდი, რომელიც აკავშირებს მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს რეგიონებს.

საქართველოს ბაზარზე აქტიურად შემოვიდა ბევრი საერთაშორისო კომპანია, დიდი ბრიტანეთის კომპანიებმა შეიძინეს მანგანუმის საბადოები და ბათუმის პორტი. ჩეხურმა კომპანიებმა ინვესტიციები განახორციელეს ელექტროგამანაწილებელ ქსელსა და ჰიდროელექტორსადგურებში; ყაზახური ინვესტიციები განხორციელდა სატელეკომუნიკაციო პროექტებში; არაბული ინვესტიციებია უძრავი ქონების მსხვილ პროექტებში; უდიდეს საზღვარგარეთულ საბანკო კომპანიებს ფილიალები აქვთ საქათველოში და გეგმავენ ქსელის კიდევ უფრო გაფართოებას; ინდური ინვესტიციები ხორციელდება ენერგეტიკის სფეროში. საქართველოში ოფიციალური წარმომადგენლობები აქვთ ისეთ ტნკ-ებს როგორებიცაა Microsoft, ფრანგული სატელეკომუნიკაციო კომპანია Alcatel. Microsoft საქართველოში პარტნიორული ქსელის განვითარებას, შემკვეთებთან მუშაობას, ასევე, თავისი გადაწყვეტილებებისა და ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფის პოპულარიზაციას ახორციელებს. კომპანიები Sun Microsystem და Sony საქართველოში პარტნიორული ქსელის გაფართოებას აპირებენ. კომპანია SunMicrosystems საქმიანობა რუსეთსა და დსთ-ს რეგიონში 2006 წლის განმავლობაში 40%-ით გაიზარდა. იგი საქართველოში იმ კომპანიების მხარდაჭერას გეგმავს, რომლებიც მისი ბიზნესით იქნებიან დაინტერესებულნი. საქართველოში წარმომადგენლობა აქვს, ასევე, კომპანია Sumsung-ს. საკმაოდ მაღალია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და უცხოური კომპანიების აქტივობა საქართველოს საბანკო სექტორში. საქართველოს კომერციული

ბანკების საწესდებო კაპიტალში ინვესტიციები და საკრედიტო ხაზები განხორციელებული აქვთ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას, გერმანიის ინვესტიციებისა და განვითარების კომპანიას, შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკს, სს "პროკრედიტ ჰოლდინგს", გერმანულ "კომერცბანკს", რუსულ "ვნეშტორგბანკს", ავსტრიულ ბანკ "ავსტრია კრედიტანშტალს", ბრიტანულ "London International Bank"-ს, აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკმა შვილობილის ბანკი "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი -საქართველო" დააფუძნა, უკრაინულმა ":Private Bank"-მა "ტაობანკის" აქციების 75% შეიძინა, ხოლო 25% შვეიცარიულ ფირმა Zurifin AG-ს ეკუთვნის. ქვეყანაში მოქმედებს უცხოური ტნკ-ის 190 განყოფილება. საქართველოში ტნკ-ების შემოსვლისა და საქმიანობის მოდელი დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე. როგორებიცაა:

- ტნკ-ების ეკონომიკური ინტერესები;
- უცხოური კაპიტალის დაბანდების სფერო და პროდუქციის სახე;
- პუი-ს მოზიდვის სტრატეგიული მიზნები.

საქართველოს ბაზარზე კიდევ ერთი მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანია შემოვიდა, რომელიც ანაკლიის პორტის მშენებლობაში მიიღებს მონაწილეობას. COSCO Pacific მსოფლიოში სიდიდით მეოთხე პორტ-ოპერატორია მსოფლიოში, რომელსაც გლობალური ბაზრის 9% უჭირავს. TEDA - ეს არის უმსხვილესი თავისუფალი სავაჭრო-ტექნოლოგიური და ინდუსტრიული ზონა, რომელიც ჩინეთის ეკონომიკის ერთ-ერთი მამოძრავებელი პროექტია. რაც შეეხება ჩინეთის განვითარების ბანკს, ეს არის მულტიმილიარდიანი სახელმწიფო ბანკი, აღნიშნული კომპანიები თანაინვესტირებით განახორციელებენ ინვესტიციებს. იაპონური ტრანსნაციონალური კომპანია NEC Corporation, რომელიც მსოფლიოში სატელეკომუნიკაციო მოწყობილობების ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელია, აღნიშნული ტრანსნაციონალური კორპორაცია თანამშრომლობს საქართველოს შსს, რომლის მეშვეობითაც სახის ამოცნობის მოწინავე სამეთვალყურეო სისტემის მიწოდებას უზრუნველყოფს. სოკარი ტრანსნაციონალური კომპანიაა, რომელიც 6

ქვეყანაში ფუნქციონირებს. სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი ქართულ ბაზარზე 2006 წელს შემოვიდა, რომელშიც 1500-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული. კომპანია სოკარი ცნობილია არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ. სოკარი ჩართულია ნავთობის და გაზის სფეროს კვლევაში, ნავთობის, გაზის და გაზის კონდენსატის წარმოებაში, გადამუშავებაში და ტრანსპორტირებაში, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე ბენზინით და ნავთობპროდუქტებით ვაჭრობაში, რიგი ქვეყნების სხვადასხვა ინდუსტრიის და მოსახლეობის ბუნებრივი აირით მომარაგებაში. კომპანიაში მსოფლიოს მასშტაბით დასაქმებულია დაახლოებით 60,000 თანამშრომელი. სოკარს გააჩნია წარმომადგენლობითი ოფისები საქართველოში, თურქეთში, რუმინეთში, შვეიცარიასა და უკრაინაში, აგრეთვე სავაჭრო კომპანიები შვეიცარიაში, სინგაპურში, ინგლისში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, კანადაში და სხვა ქვეყნებში. კომპანია ფლობს ავტოგასამართ სადგურებს, ბრენდით SOCAR, 6 ქვეყანაში: საქართველოში, აზერბაიჯანში, რუმინეთი, თურქეთში, შვეიცარიასა და უკრაინაში (სოკარ ჯორჯი პეტროლიუმი. 2017)..

შპს "ტოიოტა კავკასია" - ტოიოტას ოფიციალური დისტრიბუტორია კავკასიასა და შუა აზიაში. "ტოიოტა" მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ავტომანქანების მწარმოებელია და საქართველოშიც წარმატებით საქმიანობს.

"ბიპი საქართველო" "ბრიტიშ პეტროლიუმი" შედის მსოფლიოს უმდიდრესი კომპანიების ათეულში. კომპანიის საქმიანობის სფეროა ნავთობი და გაზი. "ბრიტიშ პეტროლიუმის" სათავო ოფისი დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში მდებარეობს. მას შემდეგ, რაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი და სამხრეთ კავკასიური გაზსადენი ექსპლუატაციაში შევიდა, "ბიპი"-ს მილსადენების ქსელი საქართველოშიც გაჩნდა. "ბიპი საქართველოს" საქმიანობის მთავარი სფეროა ნავთობსადენები და გაზსადენები, მათი პროექტირება, მშენებლობა და რემონტი.

"სან პეტროლიუმ ჯორჯია" -"გალფი" - ერთერთი ლიდერი ნავთობკომპანიაა ქართულ ბაზარზე. 2010 წლის მარტიდან ცნობილ საერთაშორისო ბრენდს საქართველოში შპს "სან პეტროლიუმ ჯორჯია" წარმოადგენს. მსოფლიო ბრენდი

1901 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში დაფუძნდა. დღეისთვის Gulf oil international ნავთობპროდუქტების დისტრიბუციას 100-ზე მეტ ქვეყანაში ახორციელებს და ერთ-ერთი მსხვილი მოთამაშეა მსოფლიო ბაზარზე. კომპანიაში დღეს 1300-ზე მეტი დასაქმებულია და მათი რიცხვი ყოველდღიურად იზრდება.

"ენერგო-პრო ჯორჯია"- ერთ-ერთ ყველაზე მსხვილი მოთამაშეა ელექტროენერგიის წარმოებისა და განაწილების სფეროში. "ენერგო-პრო" ჯგუფი, თავის მხრივ, აერთიანებს ელექტროენერგიის გენერაციისა და დისტრიბუციის ობიექტებს ჩეხეთის რესპუბლიკაში, ბულგარეთში, საქართველოსა და თურქეთში. დღესდღეობით "ენერგო-პრო" ჯგუფის აქტივების საბაზრო ღირებულება 650 მლნ ევროს აღემატება. 12 ჰიდროელექტრო სადგური აქვთ ჩეხეთის რესპუბლიკაში, 14 - ბულგარეთში, 15 - საქართველოში და 5 - თურქეთში;

ტრანსნაციონალური კომპანიების წილი, ქართულ ბაზარზე და ეკონომიკაში საკმაოდ მოცულობითია, აღნიშნულ კომპანიების კარგად ორგანიზებული და მოქნილი მენეჯმენტი გააჩნიათ, რაც უწყობს ხელს მათ ეფექტურ მართვას. ქართული სუსტი ეკონომიკის პირობებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიების შემოსვლა, ეკონომიკური პარამეტრების გაზრდის მიზნით.

დასკვნა

ნაშრომში საკითხების, რომელიც ეხება გლობალიზაციის პირობებში ტრანსნაციონალური კომპანიების მენეჯმენტის თავისებურებების ანალიზს, განხილვისა და შესწავლის შედეგად შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის განვითარებამ გამოიწვია კონკურენციის ხასიათის შეცვლა და გამკაცრება. უმსხვილესი მსოფლიო კომპანიების კონკურენტუნარიანობის ახალი შინაარსი დაკავშირებულია ოპერაციების გლობალურ ხასიათთან, საინფორმაციო ტექნოლოგიების ფართო გამოყენებასთან, ტნკ-ებსა და განვითარებადი ეკონომიკების ქვეყნებს შორის კონკურენციის გამკაცრებასთან, კომპანიათა შორის კოოპერაციის განვითარებასთან, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ხასიათისა და საშუალებების ცვლილებასთან.
2. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ტრანსნაციონალურ კორპორაციებს რიგი უდავო უპირატესობები გააჩნიათ. საზღვარგარეთული ფილიალები უკიდურესად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ უცხოურ ბაზრებზე გასვლის უზრუნველყოფის, წარმოების ხარჯების შემცირების, მოგების ზრდის მიმართულებით. ეს ყველაფერი უზრუნველყოფს ტრანსნაციონალური კორპორაციების ფინანსურ მდგრადობას და მათ კრიზისული პერიოდების დაძლევაში ეხმარება. აღნიშნული უპირატესობები ყველასათვის თვალსაჩინოა, ამიტომ ისინი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მიზეზები, რომელთა გამოც ტრანსნაციონალური კორპორაციები ასე აქტიურად ვითარდება.
3. ტნკ წარმოადგენენ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვანი საკვანძო პროცესების მამოძრავებელ ძალას. ისინი განსაზღვრავენ

საქონლისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის დონეს მსოფლიო ბაზარზე, აკონტროლებენ საერთაშორისო კაპიტალისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოძრაობას. თავისი საწარმოო და საფინანსო შესაძლებლობების წყალობით, თავის ხელში უყრიან მეცნიერებადტევად წარმოებას, რითაც ხელს უწყობენ წარმოების ტექნოლოგიურ განვითარებას.

4. უცხოურმა ბიზნესმა შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი საქართველოს საკომუნიკაციო, სავაჭრო ქსელების, საფინანსო და საბანკო სექტორის განვითარებაში, ხოლო ბოლო წლებში დასავლეთევროპული და ამერიკული კონცერნები ეხმარებიან ქართულ ბიზნეს საამშენებლო და გადამამუშავებელი მრეწველობის ტრანსფორმირებაში. ტნკ-ებს საკვანძო როლი მიუძღვით ქვეყნის ფარმაცევტული და კვების დარგების განვითარებაში. ყოველწლიურად იზრდება მსხვილი ტნკ-ების შვილობილი სტრუქტურების მნიშვნელობა საბანკო ბიზნესსა და ელექტროენერგეტიკაში.
5. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციას, ტნკ-ების ქვეყანაში დაარსებას ან შიდა ბაზარზე შემოსვლას და მათი რიცხვის ზრდას დადებითი მხარეების გარდა აქვს რიგი უარყოფითი თვისებები ისეთები, როგორებიცაა:
   - ბაზრის მონოპოლიზაცია - კორპორაციები იძენენ უფრო მცირე ზომის კონკურენტებს, ან ანადგურებენ მათ დემპინგური ფასების საშუალებით, ხოლო შემდეგ ახორციელებენ ფასების ზრდას და იღებენ ზემოგებას;
   - პატარა სახელმწიფოებს ექმნებათ თავიანთი სუვერენიტეტის საფრთხე - ფლობენ რა დიდ ფინანსურ სიმძლავრეს და გავლენიან პოლიტიკურ მხარდაჭერას, უმსხვილეს ტრანსნაციონალურ კორპორაციებს შეუძლიათ უკარნახონ თავიანთი პირობები არა მხოლოდ კონკურენტებს, არამედ მთელ სახელმწიფოებს;
   - ეკოლოგიის საფრთხე - სახელმწიფოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ზეწოლის შედეგად, რომლებსაც შემოაქვთ სულ უფრო მკაცრი ეკოლოგიური ნორმები და ზრდიან გადასახადებს გარემოს

ეკოლოგიური დაბინძურებისათვის, ტრანსნაციონალურ კორპორაციებს თავისი „ჭუჭყიანი“ წარმოებები გადააქვთ განვითარებად ქვეყნებში.

ამიტომაც, საქართველოს, როგორც განვითარებად ქვეყანას მართებს დიდი ძალისხმევა მსხვილი საერთაშორისო კორპორაციების ქვეყანაში შემოსვლისა და დამკვიდრების პროცესში.

6. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში, სულ უფრო აქტუალური ხდება ტრანსნაციონალური კომპანიების შემოსვლა ნაციონალურ ბაზარზე. რასაც აქვს, როგორც ბევრი დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა, რათა გაგვეგო მოსახლეობის აზრი თუ რამდენად არიან ისინი მზად ტრანსნაციონალური კომპანიების საქართველოში შემოსვლისათვის და მათი აზრით რა როლი მიუძღვის მათ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. კვლევის დროს გამოყენებული იქნა, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მეთოდები. ძირითადი ინსტრუმენტი იყო ინტერნეტის, კერძოდ კი google drive-ის საშველებით, რესპოდენტთა გამოკითხვა. კვლევის ობიექტად შერჩეულ იქნა საქართველოს სრულწლოვანი მოსახლეობა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 62 რესპოდენტმა.

7. ჩატარებული კვლევის ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოში არსებული ტრნ-ების მუშაობა გამოკითხულ რესპოდენტთა 83%-მა დადებითად შეაფასა, ხოლო მათი შემოსვლის დადებით მხარეთ რესპოდენტთა 54% მიიჩნია სამუშაო ადგილების შექმნა და სოციალური ფონის გაუმჯობესება (32%). უარყოფითი მხარეებიდან რესპოდენტების აზრით მნიშვნელოვანია ის, რომ დაკნინდება ქართული თვითმყოფადობა (რესპოდენტების 47%) და ქართული კომპანიები კონკურენციას ვერ გაუწევენ ტნკ-ებს (35%). ხოლო იმ საკითხის განხილვისას თუ რა უფრო მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის გამოკითხულ რესპოდენტთა 89% ჩათვალა, რომ აუცილებელია, როგორც ტნკ-ები ასე ქართული კომპანიების თანაარსებობა და იმისათვის, რომ კონკურენცია გაუწიონ ტნკ-ებს

ქართულმა კომპანიებმა უნდა გამოუშვან მაღალხარისხოვანი (რესპოდენტთა 44%) და განსხვავებული ნიშან თვისებების პროდუქცია (რესპოდენტთა 39%).

8. ამრიგად, ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რესპოდენტთა დიდი უმრავლესობა დადებითად უყურებს ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობას საქართველოში, ამასთან მათ მიაჩნიათ, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელია ადგილობრივი კომპანიებისა და ტნკ-ების თანაარსებობა, ამისათვის კი საჭიროა, რომ ქართულმა კომპანიებმა გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი და გამოუშვან განსხვავებული ნიშან თვისებების პროდუქცია.
9. ტრანსნაციონალური კომპანიების წილი, ქართულ ბაზარზე და ეკონომიკაში საკმაოდ მოცულობითია, აღნიშნულ კომპანიების კარგად ორგანიზებული და მოქნილი მენეჯმენტი გააჩნიათ, რაც უწყობს ხელს მათ ეფექტურ მართვას. ქართული სუსტი ეკონომიკის პირობებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიების შემოსვლა, ეკონომიკური პარამეტრების გაზრდის მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე. იაშვილი გ. და სხვები. სტრატეგიული მენეჯმენტი. სახელმძღვანელო. თბ. 2013.
2. ბაღიშვილი. გ. საერთაშორისო შრომის დანაწილების მოდელების შემუშავება. სადისერტაციო ნაშრომი. თბ. 2013. http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000680/Dis.%20B.G..pdf
3. ბიწაძე ბ. კორპორაციული მენეჯმენტის საფუძვლები. გამომცემლობა ,,აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია". თბ. 2006.
4. ბლიაძე მ. ტრანსნაციონალური კომპანიები და გლობალიზაცია. თბ. 2015. http://mastsavlebeli.ge/?p=1331
5. გიგიაშვილი ო. ფუტკარაძე რ. თოლორდავა ჟ. და სხვები. საერთაშორისო ბიზნესი. ლექციების კურსი. თბ. გამომცემლობა ,,უნივერსალი". 2011.
6. დუდაური თ. კომპანიის კორპორაციული იმიჯის ფორმირების თავისებურებანი. ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ. პაატა გუგუშვილის ეკონო-მიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. თბილისი. 2016. კონფერენციის შრომათა კრებულიю გვ. 306-308.
7. ლაზვიაშვილი ნ. კორპორაციული მენეჯმენტი. თბ. 2013
8. ლობჟანიძე ვ. საერთაშორისო ბიზნესის მართვა. გამომცემლობა ,,ლამპარი". თბ. 2011.
9. ჟღენტი კ. კორპორაციული მართვის ღიაობა და ინფორმაციული გამჭვირვალობა საქართველოში: გამოწვევები და სრულყოფის გზები.

სადისერტაციო ნაშრომი. თბ. 2016. http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000376/Jamagidze%20L.pdf

10. სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი. https://socar.ge/ge/
11. ქათამაძე დ. საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის საფუძვლები. თბ. 2009. https://lib.bsu.edu.ge/e-books/book_280.pdf
12. ღამბაშიძე თ. ტრანსნაციონალიზაცია და კორპორატიული კულტურების თავსებადობა. ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტი. II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი. 2017. კონფერენციის შრომათა კრებული. გვ. 511-514.
13. ღამბაშიძე თ. საერთაშორისო მენეჯმენტი. გამომცემლობა ,,უნივერსალი". თბ. 2008.
14. შაბურიშვილი შ. ტრანსნაციონალური კომპანიები და ტექნოლოგიების საერთაშორისო ტრანსფერი. ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი. 2016. კონფერენციის შრომათა კრებული. გვ.533-536.
15. შუბლაძე გ., მღებრიშვილი ბ., წოწკოლაური ფ.. მენეჯმენტის საფუძვლები. თბ.2008 http://www.bpa.ge/book/book02.pdf
16. ჩადუნელი ნ. ბიზნესის როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაში. სადისერტაციო ნაშრომი. თბ. 2013.
17. ჯამაგიძე. ლ. ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში. სადისერტაციო ნაშრომი. თბ. 2008.
http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000376/Jamagidze%20L.pdf
http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Disertaciebi/nato_chaduneli.pdf
18. Бузулукова Е. В. Особенности управления транснациональными корпорациями. Автореферат. М. 2012. http://economy-lib.com/osobennosti-upravleniya-transnatsionalnymi-korporatsiyami-v-rossii

19. Зайцева С. Ю. Транснациональные корпораций как агенты глобализаций. Санкт-Петербург. 2018. https://cyberleninka.ru/article/n/transnatsionalnye-korporatsii-kak-agenty-globalizatsii
20. Карсанова Э. Э. Эволюция роли ТНК в экономике развитых и развивающихся стран. Global economics. М. 2017. http://publishing-vak.ru/file/archive-economy-2017-4/25-karsanova.pdf
21. Конина Н.Ю. Конкурентоспособность транснациональных корпораций в условиях глобализаций. Автореферат. М. 2009. http://pandia.ru/text/80/384/37663.php
22. Костылева А. В., Бычкова Л. В. Роль транснациональных корпораций в мировой экономике // Молодой ученый. №2. 2017. С. 450-453. https://moluch.ru/archive/136/38254/
23. Рожкова В.В., Лёвина А.А. Значение и роль ТНК в современной мировой экономике. 2015. https://www.scienceforum.ru/2015/pdf/8217.pdf
24. Ромашкин Т.В. Становление и развитие тнк в условиях глобализаций. Саратов 2016. http://docplayer.ru/42287166-Romashkin-t-v-stanovlenie-i-razvitie-tnk-v-usloviyah-globalizacii.html
25. Трифонова И. В. Роль транснациональных корпораций в глобализации мировой экономики. Молодой ученый. — №9. 2013. С. 243-245. — URL https://moluch.ru/archive/56/7687/
26. Флегонов К.А. Транснациональные корпорации в условиях глобальной конкуренции (на примере Франции). Автореферат. М. 2016. http://economy-lib.com/transnatsionalnye-korporatsii-v-usloviyah-globalnoy-konkurentsii
27. ЭФКО. Примеры корпоративных культур международных. Система управления Компании Toyota. М. 2016. http://www.efko.ru/kadry/international_corporate_culture/10578/

28. Forbes Global 2000. https://www.forbes.com/sites/kristinstoller/2018/06/06/the-worlds-largest-public-companies-2018/#72e2a633769f
29. Fortune Global 500. The Global 500: The Toh 10. http://fortune.com/global500/
30. The Fortune Global 500, 2017. http://fortune.com/global500/2017/
31. UK Economic Outlook 2014. https://www.pwc.co.uk/assets/pdf/pwc-uk-economic-outlookreport-march2014.pdf

დანართი

გამოკითხვის კითხვარი

ტრანსნაციონალური კომპანიების როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში

1. **როგორ შეაფასებდით ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობას საქართველოში 5 ბალიანი სისტემით?**
   - 1.
   - 2.
   - 3.
   - 4.

- 5.

2. **თქვენი აზრით რა სარგებელს მოუტანს ტრანსნაციონალური კომპანიების შემოსვლა საქართველოს?**
   - შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები
   - დაიკლებს სამომხმარებლო ფასები
   - გაუმჯობესდება სოციალური ფონი
   - ამაღლდება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ტემპი.
3. **თქვენი აზრით რა უარყოფითი გავლენა ექნება ტრანსნაციონალური კომპანიების შემოსვლას საქართველოში?**
   - დაკნინდება ქვეყნის თვითმყოფადობა
   - დიდი რაოდენობით ვალუტა გავა ქვეყნიდან
   - ქართულ კომპანიებისათვის მათთვის კონკურენციის გაწევა გაუჭირდებათ
4. **თქვენი აზრით ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის რომელი უფრო სასარგებლოდ მიგაჩნიათ ტრანსნაციონალური კომპანიების შემოსვლა, თუ ადგილობრივი კომპანიების გააქტიურება?**
   - ტრანსნაციონალური კომპანიების შემოსვლა
   - ადგილობრივი კომპანიების გააქტიურება
   - ორივეს თანაარსებობა
5. **თქვენი აზრით როგორ უნდა გაუწიონ ქვეყნის ადგილობრივმა კომპანიებმა კონკურენცია შემოსულ ტრანსნაციონალურ კომპანიებს?**
   - მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოებით
   - დაბალი დანახარჯებით და შესაბამისად ფასებით
   - წარმოებული პროდუქციის განსხვავებული ნიშან თვისებებით
   - მოსახლეობის მხარდაჭერით, კერძოდ ადგილობრივი პროდუქციის შესყიდვით.
6. **ასაკი?**
   - 15-18 მდე.

- 18-30 მდე.
- 30-40 მდე
- 40-ზევით..

7. **სქესი?**

- მამრობითი
- მდედრობითი

8. **განათლება?**

- საშუალო
- უმაღლესი
- არასრული საშუალო

9. **საქმიანობა?**

- დასაქმებული
- დაუსაქმებული
- დროებით დაუსაქმებელი